პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 185 (11796)

ხუთშაბათი, 11 აგვისტო, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

პირობა დადე?—შეასრულე!

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობით ახორციელებენ პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ყველგან — ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე და ტრანსპორტზე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ყოველდღე მოდის სასიხარულო ცნობები შეჯიბრების მონაწილეთა ახალ-ახალი წარმატებების შესახებ.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში კომუნისტური შრომის ბრიგადებმა და დამკვრელებმა უკვე გადალახეს შვიდწლედის მეორე წლის ზღუდეები. ისინი გამსჭვალული არიან დაუცხრომელი მისწრაფებით იარონ მხოლოდ წინ, იცხოვრონ და იმუშაონ კომუნისტურად, გასწიონ აქტიური შემოქმედებითი შრომა, გაკაფონ მომავლის გზა.

გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა ცუდად როდი დაიწყეს შეჯიბრება შვიდწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების ბაზაზე საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 1959 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიზარდა შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის აღებული ტემპი. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, კოქსი და მრავალი სხვა სახის პროდუქცია.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდდა 5 პროცენტით. გადაჭარბებით არის შესრულებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებაც. რესპუბლიკის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს შვიდი თვის დავალებაც.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების დარგში უნარიანი ორგანიზატორული საქმიანობის მაგალითს გვიჩვენებენ რესპუბლიკის მთელი რიგი მოწინავე საწარმოები, შახტები და მაღაროები. მაგალითად, ჭიათურაში სოციალისტური შეჯიბრების სათავეშია კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საშუალებებს და ღია წესით მარგანეცის მოპოვებას. ყოველივე ამის შედეგად გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21 პროცენტით გაზარდეს მადნის გამოღება, 9 პროცენტით სასაქონლო პროდუქციის დამზადება და ყოველი ტონა მადნის თვითღირებულება შეამცირეს 95 კაპიკით. მაღაროს კოლექტივი დიდიხანია პროდუქციას იძლევა სექტემბრის ანგარიშში.

მაღალნაყოფიერად შრომობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი. საწარმომ ვადამდე გაანაღდა შვიდი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ლითონი. მეტალურგებმა დაზოგეს 948 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 445 ათასი მანეთის ნედლეული და თვითღირებულების შემცირებით რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 1.784 ათასი მანეთი.

წარმატებით მუშაობენ და ვალდებულებებს გადაჭარბებით ანაღდებენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნისა და თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივები. აქ ყველა მაჩვენებლებით შეასრულეს შვიდი თვის დავალება, დაზოგეს დიდი თანხები და მილიონებით გაამდიდრეს რესპუბლიკური ფონდი.

სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე საწარმოების გვერდით ჯერ კიდევ არიან საწარმოები, მაღაროები და შახტები, რომლებიც არათუ ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებენ, არამედ საწარმოო პროგრამის შესრულებაშიც ჩამორჩებიან. ასეთ საწარმოთა კოლექტივების ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ავიწყდებათ, რომ თავიანთი ცუდი მუშაობით უკან სწევენ რესპუბლიკის ეკონომიურ მაჩვენებლებს.

მაგალითად, ახალციხის № 4/5 შახტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღოს 4.500 ტონა ქვანახშირი, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 2,5 პროცენტით, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამციროს 8 მანეთითა და 40 კაპიკით და გასწიოს 800 ათასი მანეთის ეკონომია. მაგრამ დაპირება ვერ შეასრულა — წლის პირველი ნახევრის დავალება დიდი გარღვევით დაამთავრა და სამშობლოს დააკლო 6.434 ტონა ქვანახშირი, შრომის ნაყოფიერება შეამცირა 7,4 პროცენტით, საგრძნობლად გაზარდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

რესპუბლიკაში ასეთი ჩამორჩენილი საწარმოები არც თუ ისე მცირეა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმა ვერ შეასრულა 52 საწარმომ, რომლებმაც სამშობლოს დააკლეს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლას თან ახლავს საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უმაგალითო ზრდა. რაციონალიზატორები და გამომგონებლები, კომუნისტური შრომის ბრიგადები და დამკვრელები ეძებენ პროდუქციის წარმოების გადიდების ახალ შესაძლებლობებსა და რეზერვებს. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ აქტივობას, მტკიცედ დაუჭირონ მხარი ძვირფას თაოსნობას და ინიციატივას, გააკეთონ ყველაფერი, რათა დასახული გეგმები და ვალდებულებანი ღირსეულად შესრულდეს.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1960 წლის მეორე კვარტალის შედეგები და გამარჯვებულებს მიაკუთვნეს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მოიპოვეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის, საქართველოს შახტმშენის ტრესტის საქართველოს შახტმონტაჟის სამმართველოს, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივებმა.

საქართველოს პროფსაბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მფლობელები გახდნენ და პირველი ფულადი პრემიები მიიღეს ქუთაისის ლითოპონის ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს, საქართველოს ნავთობის ტრესტის გაერთიანებული ნავთობსარეწის, სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგურის, ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათსაშენებელი ქარხნის, თბილისის ხართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა „კომკავშირელის", გურიანთის ჩაის ფაბრიკის, თბილისის კერამიკული კომბინატის, რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივებმა.

მეორე ფულადი პრემიები მიეკუთვნათ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის გელათის შახტის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს, საქართველოს ნავთობის ტრესტის გეოლოგიურ-საძიებო კანტორის, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს, თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღების", სოხუმის ელექტროქსელის, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის, თბილისის ხის დამმუშავებელი ქარხნის, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის", № 1 ტყავის ქარხნის, აცანისა და დიდი ჯუმის ჩაის ფაბრიკების, ლენინის სახელობის ავჭალის მინის ქარხნის, ახალქალაქის ყველისა და კარაქის ქარხნის, მარნეულშენის შახტსაშენებელი სამმართველოს, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს კოლექტივებს.

მესამე ფულადი პრემიები მოიპოვეს საქართველოს ნავთობის ტრესტის ბურღვის კანტორის, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს, შაორის ჰიდროელექტროსადგურის, თბილისის თბოელექტროცენტრალის, საიუველირო ფაბრიკის, პლასტმასის ქარხნის, ქარხანა „ელექტროავტომატის", კოტონის წინდების ფაბრიკის, № 1 სამკერვალო ფაბრიკის, გუდაუთის ჩაის ფაბრიკის, თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის, საკონდიტრო კომბინატის, ქუთაისის მინის ტარის ქარხნის, თეძამის ტუფის საწარმოთა, ქუთაისის აგურის ქარხნის, საქართველოს შახტმშენის ტრესტის გელათის შახტმშენის სამშენებლო სამმართველოს დამხმარე საწარმოთა კომბინატის კოლექტივებმა.

საქართველოს პროფსაბჭომ და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ აღნიშნეს სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, თბილისის ჩაისსაწონი ფაბრიკის, ხილის წყლების ქარხნის, ცხიმის კომბინატის, № 4 პურის ქარხნის, მაკარონის ფაბრიკის, სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, გორის პურის კომბინატის, აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის კოლექტივების კარგი მუშაობა. (საქდესი).

დიდი შრომითი წარმატება

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მდივანს ამხანაგ გ. ი. მირზიაშვილს
მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. გ. ბერუჩაშვილს
საქართველოს ალკკ მცხეთის რაიკომის მდივანს ამხანაგ ი. ვ. რუხაძეს

მცხეთის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომით წარმატებებს — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,6 პროცენტით, კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 111,7 პროცენტით, რძისა — 116,3 პროცენტით, მატყლისა — 113,6 პროცენტით შესრულებას.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებები მოპოვებულია კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობის მუშათა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, მეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ ერედის (თავმჯდომარე იოსებ გიორგის-ძე ბეგოიძე), წილკნის (თავმჯდომარე შალვა ივანეს-ძე პაპავაძე), ძალისის (თავმჯდომარე გიორგი ილიას-ძე არჯევანიძე), ნიჩბისის (თავმჯდომარე სანდრო ტუხას-ძე ალავერდაშვილი) და სხვა კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ ბაღებისა და ვენახების გაშენების და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის მაღალი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული. რაიონის მშრომელნი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მიაღწიონ საზოგადოებრივი მეურნეობის სანიმუშო გაძღოლას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის მდივანს ამხანაგ ა. ა. ავაზაშვილს
ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ მ. დ. დავითაშვილს
საქართველოს ალკკ ყვარლის რაიკომის მდივანს ამხანაგ ს. ს. სეფაშვილს

ყვარლის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომით წარმატებებს—სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,1 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის — 100,2 პროცენტით, კვერცხისა — 101,8 პროცენტით, მატყლისა — 169,2 პროცენტით შესრულებას.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებები მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომით, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობით, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული და ეკონომიური განმტკიცების გზით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ ვენახების გაშენების, სახელმწიფოსათვის ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ჩვენი ქართული ჩაი

არ შევანელოთ აღებული ტემპი!

მოკრეფილია 117.735 ტონა ჩაის ფოთოლი, გასულ წელს მოკრეფილი იყო 102.890 ტონა.

ზაფხული იწურება. ქართველი მეჩაიეები ჩქარობენ. მათ კარგად იციან, რომ ჩაის ბუჩქის ვეგეტაციის საუკეთესო დრო თანდათან მცირდება და საჭიროა ყოველი დღე, ყოველი საათი, ყოველი წუთი მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას ჩაის ფოთლის საკრეფად.

ქართველ მეჩაიეთა ეს პატრიოტული შემართება ჩანს საქმეში: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით 5 აგვისტოსათვის სეზონის დაწყებიდან სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 117.735 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, რაც წლიური გეგმის 85,3 პროცენტს შეადგენს. გასული წლის ამავე პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 102.890 ტონა, ე. ი. წლიური გეგმის 77,4 პროცენტი.

სტატისტიკური სამმართველოს ცნობა გვაუწყებს, რომ ხუთი აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოპოვებული აჭარასა და აფხაზეთს, აგრეთვე მთელ რიგ რაიონებს.

შვიდწლედის მეორე წელს აჭარის ასს რესპუბლიკამ გეგმით უნდა მოკრიფოს 23.600 ტონა ჩაის მწვანე ნედლეული, ხუთი აგვისტოსათვის მოკრეფილი აქვს 20.790 ტონა — წლიური გეგმის 88.1 პროცენტი. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის წლიური გეგმაა 22.730 ტონა, მოკრეფილი აქვს 19.366 ტონა, ე. ი. წლიური გეგმის 85,2 პროცენტი.

ჩაის კრეფაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მახარაძის, ჩოხატაურის, ქობულეთის, გალის, გუდაუთის, წყალტუბოს, ტყიბულის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, წულუკიძის და სხვა რაიონები, რომელთა უმრავლესობაში მეჩაიეთა დასახმარებლად საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩავიდა ათასობით ადამიანი.

მიმდინარე წელს მახარაძის რაიონმა გეგმით უნდა მოკრიფოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს 27.400 ტონა ჩაის მწვანე მასა, სეზონის დაწყებიდან ხუთი აგვისტოსათვის უკვე მოკრეფილი აქვს 24.730 ტონა, ე. ი. წლიური გეგმა შესრულებულია 90,3 პროცენტით, ჩოხატაურის რაიონმა უნდა მოკრიფოს 4.200 ტონა, მოკრიფა 3.944 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 93,9 პროცენტით, ქობულეთის რაიონმა უნდა მოკრიფოს 17.430 ტონა, მოკრიფა 15.529 ტონა, გეგმა შესრულებულია 89,1 პროცენტით და ა. შ.

რესპუბლიკის მეჩაიეებისათვის აგვისტო გეგმების გადაჭარბებით შესრულების გადამწყვეტი თვეა. წელს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა ნაკისრ ვალდებულებებს გარდა დამატებით ახალი გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს, რაც თავდადებულ შრომას, მთელი ენერგიის დაძაბვას მოითხოვს.

ამხანაგო მეჩაიეებო, არ შეანელოთ აღებული ტემპი. კიდევ ერთი გენერალური შეტევა, და თქვენი სიტყვა პირნათლად შესრულდება — დედასამშობლო მიიღებს 145 ათას ტონაზე მეტ „მწვანე ოქროს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოსული ადამიანი ჰკრეფს ახლა „მწვანე ოქროს". ვის არ ნახავთ ამჟამად ჩაის პლანტაციებში! აი, ეს გოგონები გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან მოვიდნენ მახარაძის რაიონში, რომ დედასამშობლოს შემატონ ჩაი, ამრავლონ ხვავი და ბარაქა.

* * *

სურათზე: ჩაის კრეფენ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მეფუტკრეობის განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტები რუიზან სამადაშვილი და ბელა იაგორაშვილი.

ფოტო კ. ვაჩიბერიძისა.

გუშინ ჩაის პლანტაციებში



◆ **ჩხოროწყუ.** რაიონში ჩაის კრეფის ტემპი ყოველდღიურად ძლიერდება. სულ მოკრეფილია 4.470 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 83 პროცენტს შეადგენს. კრეფაში დაწინაურდნენ სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობები.

კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ნათელა შენგელიამ, რომელმაც ორმაგად შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა, გუშინ 20 კილოგრამის ნაცვლად 65 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. ეთერ ხირაბუამ ამავე დღეს — 50 კილოგრამი.

◆ **წყალტუბო.** რაიონში ჩაის კრეფის მხრივ თავი ისახელა სოფელ ცხუნკურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც ვალდებულებით უნდა მოეკრიფა 92 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. კოლმეურნეობას მოკრეფილი აქვს 105 ტონა ჩაი.

სოფელ გუმბრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ნონა გურეშიძემ გეგმით გათვალისწინებულ 16-ის ნაცვლად გუშინ 50 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

მისი სასახელო საქმეები

მზია ხარატიშვილი

ეს შავთვალწარბა გოგონა — მზია ხარატიშვილი ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღვერკის კოლმეურნეობის მწველავია.

ორი წლის წინათ, როდესაც მან ლაშის საშუალო სკოლა დაამთავრა, მშობლიური სოფლის კოლმეურნეობას მიაშურა და თავისი საქმიანობის ასპარეზად მეცხოველეობის ფერმა აირჩია.

ქალიშვილმა ფერმაში მისვლისთანავე დიდი შრომისმოყვარეობა გამოიჩინა. სულ მალე დახელოვნდა პირუტყვის მოვლა-პატრონობაში. ახლა იგი მოწინავე მწველავად ითვლება რაიონში. ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს წველადობის გეგმებს.

მზია შრომასთან შესანიშნავად ათავსებს სწავლას, იგი კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის მსმენელია და შეძენილ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს.

ბეჯითი კომკავშირელი თანატოლებმა თავიანთ ხელმძღვანელად აირჩიეს — იგი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანია.

ახალგაზრდა მწველავმა იკისრა შვიდწლედის მეორე წელს 2.300 კილოგრამი რძე მიიღოს თვითეულ საფურაქე ძროხაზე.

ქ. სახვაძე.

„თანამგზავრის" პროექტი მოიწონეს

სამდინარო ფლოტის სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა წყალქვეშაფრთებიანი მძლავრი თბომავლის „თანამგზავრის" ტექნიკური პროექტი, რომელიც ნავარაუდევია 300 კაცისათვის. დასახულია ასეთი ტიპის პირველ გემს გაუკეთდეს ძრავები, რომლებიც განავითარებენ საათში 80 კილომეტრამდე სიჩქარეს. შემდეგში სწრაფფრთებიან გემებზე განზრახულია დაიდგას გაზის ტურბინები. ეს შესაძლებელს გახდის, რომ სიჩქარე თითქმის ერთნახევარჯერ გადიდდეს. „თანამგზავრზე" გათვალისწინებულია გამოიყენონ ბევრი ტექნიკური სიახლენი — დიდგამძლე მსუბუქი ალუმინ-მაგნიუმის შენადნობები, არგონ-რკალური შედუღება, პლასტიკური მასები. (საკდესი).

კრებული „პოდოლიის მშრომელნი—ვ. ი. ლენინს"

ვინიცა, 8 აგვისტო. (საკდესი). ვინიცის საოლქო წიგნისა და გაზეთის გამომცემლობამ გამოუშვა კრებული დოკუმენტებისა, რომლებიც პოდოლიის მშრომელებმა გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს. კრებულში გამოქვეყნებულია უკრაინის კომპარტიის საგუბერნიო, სამაზრო, საოკრუგო და რაიონული კომიტეტების დეპეშები და წერილები, დოკუმენტური მასალები, მასალები გაზეთებიდან, რომლებიც არქივებში ინახება.

კრებულში „პოდოლიის მშრომელნი—ვ. ი. ლენინს" არის 1919-1923 წლების 59 დოკუმენტი, რომელთაგან უმრავლესობა პირველად ქვეყნდება.

სსრ კავშირის დახმარება პაკისტანს

ისწრაფვის რა კეთილმეზობლური ურთიერთობა განავითაროს ურთიერთ ხელსაყრელ საფუძველზე, საბჭოთა მთავრობამ 1958 წელს პაკისტანის მთავრობასთან აზრთა გაზიარების დროს განაცხადა, რომ მზად არის დახმარება გაუწიოს პაკისტანს ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვაში.

ამ უკანასკნელ ხანს მოლაპარაკება ამ საკითხზე გაგრძელდა. ამ მოლაპარაკების მსვლელობაში პაკისტანის პრეზიდენტ აიუბ ხანს ეცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის კეთილმოსურნეობით განიხილოს საკითხი კრედიტის მიცემის შესახებ, რათა პაკისტანს მიაწოდონ საბჭოთა მოწყობილობა, აანაზღაურონ საბჭოთა სპეციალისტების სამსახური და მოამზადონ ტექნიკური პერსონალი ადგილობრივ პაკისტანელთაგან იმ მიზნით, რომ შესრულდეს საძიებო სამუშაოები სასარგებლო წიაღისეულის საზვერავად. ამასთან საბჭოთა მხარემ შესთავაზა, რომ პაკისტანს გაიგზავნოს საბჭოთა ექსპერტების ჯგუფი პაკისტანის მხარის კონკრეტული სურვილების გასაცნობად და სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრისათვის.

2 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა მიიღო პაკისტანის ელჩი სსრ კავშირში ა. ფილალი, რომელმაც გადასცა პასუხი, რომელიც შეიცავს პაკისტანის მთავრობის თანხმობას საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე. ანალოგიური პასუხი გადმოცემულ იქნა აგრეთვე სსრ კავშირის ყარაჩის საელჩოს მეშვეობით.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად უახლოეს ხანში პაკისტანს გაიგზავნება საბჭოთა ექსპერტების ჯგუფი.

უპერსპექტივო კომისია

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). შეერთებული შტატები კვლავ ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოწვევას, თუმცა, როგორც სავსებით აშკარაა, კომისიის მოწვევა ოდნავაც ვერ შეუწყობს ხელს განიარაღების საქმეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დაგ ჰამარშელდმა დეპეშა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის წევრებს, რომლითაც აუწყებს, რომ განიარაღების კომისიის თავმჯდომარემ პადილია ნერვომ აცნობა ჰამარშელდს იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილია 16 აგვისტოს დღის სამ საათზე ადგილობრივი დროით მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია.

გაზეთ „პრავდის" რედაქციის კითხვების პასუხში, რომელიც გამოქვეყნდა 10 აგვისტოს, ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა ნამდვილი მიზეზები, თუ რატომ ცდილობენ ამერიკის შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოწვევას. „როგორც ჩანს, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — შეერთებულ შტატებს სურთ ახლა ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოებზე იმ მიზნით, რომ კვლავ ჩაითრიონ ისინი ამ საკითხთა უშედეგო განხილვაში კომისიაში და აღკვეთონ იმის შესაძლებლობა, რომ განიარაღების პრობლემა ფართო განსახილველად დაისვას გენერალურ ასამბლეაში".

მაკმილანი ბონს გაემგზავრა

ლონდონი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი ბონს გაფრინდა დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერთან მოსალაპარაკებლად.

ბელგიის ელჩი გააძევეს კონგოდან

პარიზი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, გუშინ ბელგიის ელჩმა კონგოში ვან დენ ბოშმა, თანახმად კონგოს მთავრობის გადაწყვეტილებისა მისი დაუყოვნებლივ გაძევების შესახებ, დატოვა ლეოპოლდვილი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

კომპეტენტურმა საბჭოთა ორგანოებმა დაადგინეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოსთან აკრედიტებული სამხედრო-საჰაერო ატაშე **ე. მ. კერტონი** სსრ კავშირში ეწევა საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია დიპლომატიური მუშაკის სტატუსთან.

როგორც გამორკვეულია, **კერტონმა** საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შემდეგ ენერგიული ღონისძიებანი განახორციელა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამხედრო-საჰაერო ატაშეს აპარატის დაზვერვითი მუშაობის აქტივიზაციისათვის, მოაწყო ჯგუფური სადაზვერვო მოგზაურობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში. ორ წელიწადს საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს **კერტონმა** დიდძალი სადაზვერვო მოგზაურობა მოაწყო. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს **კერტონი** თავხედურად იქცეოდა, ცდილობდა შეეღწია დიდმნიშვნელოვანი სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო ობიექტების განლაგებაში, მოგზაურობის დროს აქტიურად იყენებდა სპეციალურ სადაზვერვო ფოტოაპარატურას. ოდესაში ყოფნის დროს **კერტონმა** გადაიღო სამხედრო-საზღვაო ობიექტების ფოტოსურათები, რის გამო დააკავა სამხედრო პატრულმა; დაკავების დროს იგი თავაშვებულად იქცეოდა, არ ემორჩილებოდა პატრულის მოთხოვნებს, ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა წასულიყო.

ამას წინათ **კერტონი** და მისი თანაშემწე **მაკდონალდი** მატარებლით კურგანს გაემგზავრნენ. მოგზაურობაში **კერტონი** და **მაკდონალდი** აქტიურ ვიზუალურ დაკვირვებას ეწეოდნენ, აკეთებდნენ ჩანაწერებს რვეულებში, აშკარად იღებდნენ ვაგონის ფანჯრებიდან სამხედრო ქარხნების, აეროდრომების, ანტენის მოწყობილობისა და სხვა ფოტოსურათებს. ისინი დააკავეს სამხედრო ობიექტების ფოტოსურათების გადაღების დროს; ამასთან **კერტონს** ჩამოართვეს ფოტოფირი, რომელზეც გადაღებული იყო თვითმფრინავებისა და სამხედრო-სამრეწველო ობიექტების ფოტოსურათები, ხოლო **მაკდონალდს** — რამდენიმე რვეული სადაზვერვო ჩანაწერებით.

ზემონათქვამის გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა **კერტონს** დატოვოს საბჭოთა კავშირის ფარგლები. ამავე დროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს სამხედრო-საჰაერო ატაშეს თანაშემწე **ი. ტ. მაკდონალდი** იმ საქმიანობისათვის, რომელიც შეუთავსებელია მის დიპლომატიურ სტატუსთან, და მიაპყრო ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს ყურადღება იმას, რომ დიპლომატიურ თანამშრომელთა ასეთი მოქმედება შეუწყნარებელია.

აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესი

მოსკოვის უნივერსიტეტის შენობის წინ ლენინის გორაზე ფრიალებს აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესის მონაწილე სახელმწიფოთა ალმები. ეს დიდი და წარმომადგენლობითი მეცნიერული კრება 9 აგვისტოს გაიხსნა უნივერსიტეტის საქტო დარბაზში. დარბაზში ადგილები დაიკავა ორი ათასმა დელეგატმა და სტუმარმა. მათგან თითქმის ნახევარი შორეული მხარეებიდან, საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა.

ტრადიციის მიხედვით პირველი სიტყვა მიეცა წინა კონგრესის პრეზიდენტს. პროფესორი ე. ვალდშმიდტი — აღმოსავლეთმცოდნეთა მიუნჰენის XXIV კონგრესის პრეზიდენტი — მისალმა ახლანდელი კრების მონაწილეებს და უფლებამოსილება გადასცა XXV კონგრესის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბ. გ. გაფუროვს.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით მისალმებისათვის სიტყვა მიეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიქოიანს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ა. ი. მიქოიანის სიტყვა

ქალბატონებო და ბატონებო!

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა მთავრობის დავალებით გულითადად მოგესალმოთ თქვენ, აღმოსავლეთის მცოდნე მეცნიერთა XXV საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთ. **(ტაში).**

კონგრესს, რომელიც გაიხსნა დღეს საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში, მეცნიერების ტაძარში — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შეიძლება სამართლიანად ვუწოდოთ აღმოსავლეთმცოდნეთა მოსკოვის კონგრესი.

80 წლის წინათ პეტერბურგში გაიმართა აღმოსავლეთმცოდნეთა III კონგრესი, მაგრამ ვფიქრობ, რომ მეცნიერებმა, და არა მარტო მეცნიერებმა, იციან, რომ რუსეთი ახლა ის აღარ არის, სულაც არ არის ის, მთელი მსოფლიოც სხვა გახდა და დროც სხვა არის.

თქვენი კონგრესი დიდმნიშვნელოვან დროს შეიკრიბა. ჩვენი დრო არის დიდ სოციალ-ეკონომიურ საქმეთა რევოლუციური ეპოქა. ახლა ცხოვრება ახლებურად მიდის, და სოციალური პროგრესი სწრაფი, წინათ არნახული ტემპით ხდება.

აღმოსავლეთის ხალხთა ძლევამოსილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ახლა მოჰყვა აზიის თითქმის ყველა ხალხის და აფრიკის კონტინენტის ხალხთა ორი მესამედის პოლიტიკური განთავისუფლება, იმ ხალხთა, რომელნიც კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ დამოკიდებულებაში იყვნენ. კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემა სრული დაღუპვის კარზეა.

ქვეყნები, რომლებიც ჯერ კიდევ ახლო წარსულში კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის რეზერვი იყვნენ, დღეს მშვიდობის მძლავრი ფაქტორი ხდებიან, მათ უკვე შეაქვთ დიდი წვლილი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის საერთო ბრძოლაში.

ამრიგად, აღმოსავლეთის ახალი სახელმწიფოები სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენენ ისტორიული განვითარების სვლაზე. ახდა გენიალური განჭვრეტა დიდი ლენინისა, რომელმაც 40 წელზე მეტი ხნის წინათ თქვა: „აღმოსავლეთის გამოღვიძების პერიოდს თანამედროვე რევოლუციაში მოსდევს პერიოდი აღმოსავლეთის ყველა ხალხის მონაწილეობისა მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში, რათა არ გახდნენ მხოლოდ გამდიდრების ობიექტი. აღმოსავლეთის ხალხები იღვიძებენ იმისათვის, რათა პრაქტიკულად იმოქმედონ, რათა ყოველი ხალხი წყვეტდეს მთელი კაცობრიობის ბედის საკითხს“. (თხზ., IV გამოცემა, ტ. 30, გვ. 177). **(მქუხარე ტაში).**

ახლა შეიძლება საერთოდ ცნობილად ჩაითვალოს, რომ ხალხთა ცხოვრებაში რევოლუციურ გარდაქმნებს დასაბამი მისცა რუსეთის დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ყველა ქვეყნისა და ხალხის ბედზე და რომელიც ნიშნავდა დრომოჭმული კაპიტალიზმიდან სოციალიზმის ახალ საზოგადოებრივ ეკონომიურ სისტემაში კანონზომიერი გადასვლის დასაწყისს; „საბჭოთა რევოლუციამ, — როგორც წერდა ბ-ნი ნერუ თავის წიგნში „ინდოეთის აღმოჩენა“, — ბევრად წასწია წინ ადამიანთა საზოგადოება და აანთო ძლიერი ალი, რომლის ჩაქრობა შეუძლებელია. მან საფუძველი ჩაუყარა იმ ახალ ცივილიზაციას, რომლისკენაც შეუძლია მსოფლიოს იაროს“.

დიდმა ოქტომბერმა უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის ქვეყნებზე და დასახა მათი აღორძინების პერსპექტივა.

აზიისა და აფრიკის ხალხების დადგომას დამოუკიდებელი განვითარების გზაზე თან ახლავს არა მარტო ცვლილებანი მათ პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე დიდი გარდაქმნები მათ ეკონომიკაში, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში.

ამასთან დაკავშირებით ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის გამოცდილებას აღმოსავლეთის ხალხთა ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციასა და ეროვნული საკითხის გადაჭრაში.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად გადაიჭრა პრაქტიკულად ურთულესი ეროვნული საკითხი და აღმოიფხვრა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური უთანასწორობა ხალხებისა, რომელნიც რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ. შუა აზიის, ამიერკავკასიისა და ყაზახეთის რაიონები — ცარიზმის ეს კოლონიები, რომლებიც წარსულში ჩამორჩენილნი იყვნენ, რუსი ხალხის ძმური დახმარებით უმოკლეს ისტორიულ ვადაში პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად დიდად განვითარებული სოციალისტური რესპუბლიკები გახდნენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, მაგალითად, მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში 50-ჯერ გაიზარდა.

საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხებმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს მეცნიერებისა და კულტურის დარგში. მაგალითად, უზბეკეთში ყოველ 10 ათას სულ მოსახლეზე მოდის 110 სტუდენტი — ეს 3-ჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთში, 7-ჯერ მეტია, ვიდრე თურქეთში, 16-ჯერ მეტია, ვიდრე ირანში. შუა აზიისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნილია და წარმატებით მუშაობს მეცნიერებათა აკადემიები, რომლებსაც ათობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, უნივერსიტეტები და ბევრი სხვა უმაღლესი სასწავლებელი აქვთ. ისინი გახდნენ მთლიანი წიგნიერობის რესპუბლიკები, მაშინ როცა ტაჯიკეთში, მაგალითად, რევოლუციამდე მხოლოდ ნახევარი პროცენტი იყო წიგნიერი.

საბჭოთა სახელმწიფოს გამოცდილებას ეროვნული და სოციალური პრობლემების ძირეულ გადაჭრაში უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს და შემთხვევითი როდია, რომ იპყრობს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა დაძაბულ ყურადღებას.

საბჭოთა ადამიანები დიდი პატივისცემისა და გულწრფელი სიმპათიის გრძნობით ეპყრობიან აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან იმპერიალისტური კაბალის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის. ჩვენთვის მახლობელი და გასაგებია ჩაგრულ ხალხთა მისწრაფება და იმედი.

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო იშვა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. ყველა რასისა და ხალხის თანასწორობისა და მეგობრობის დიადი ლენინური პრინციპები განსაზღვრავენ ჩვენს ურთიერთობას აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას და უანგარო დახმარებასა და მხარდაჭერას უწევს მათ.

ჩვენ გადაჭრით ვილაშქრებთ უცხოელ დამპყრობელთა ყველა ცდის წინააღმდეგ — შეინარჩუნონ და გააფართოონ იმპერიალისტური ბატონობის სფერო. აღმოსავლეთის ხალხებს ყოველთვის შეუძლია თავიანთ სამართლიან ბრძოლაში იქონიონ მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს, ყველა სოციალისტური ქვეყნის დახმარების იმედი.

ამას მოწმობს, მაგალითად, ის, რომ საბჭოთა კავშირმა გადაჭრით დაუჭირა მხარი ეგვიპტის ხალხის სამართლიან ბრძოლას იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ; სირიასა და ერაყზე თავდასხმის თავიდან აცილებას. ჩვენ თანამიმდევრულად ვიცავთ კონგოელი ხალხის კანონიერ უფლებებს და ვეხმარებით მას კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ვიბრძვით უცხოელთა ინტერვენციის დაუყოვნებლივ აღკვეთისათვის კონგოში. კონგოს მაგალითით ჩანს, რომ დრომოჭმული კოლონიალიზმი არიერგარდულ ბრძოლებს აწარმოებს ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოს მხარდაჭერით. მაგრამ ეს უიმედო საქმეა. კოლონიზატორები სულერთია უნდა აიბარგონ კონგოდან და ყველა სხვა ქვეყნიდან, რომლებიც ჯერ კიდევ მათ ბატონობაშია.

როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, ჩვენ, ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიგვაჩნია დახმარება გავუწიოთ იმ ხალხებს, რომელთაც დაამხეს კოლონიზატორთა პოლიტიკური ხელისუფლება იმ მიზნით, რომ ისინი საბოლოოდ ჩამოსცილდნენ დამოკიდებულების ყველა გზას, აღმოფხვრან ეკონომიური ჩამორჩენილობა, უზრუნველყონ სოციალური პროგრესი და აყვავება.

აზიისა და აფრიკის იმ ქვეყნებმა, რომელთაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, კოლონიური წარსულისაგან მემკვიდრეობად მიიღეს სიღატაკე და შიმშილი, ავადმყოფობა და უმეცრება. ამ ქვეყნების ხალხები ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად მოუღონ ბოლო ამ მემკვიდრეობას. მათ არ სურთ ათეული წლობითა და საუკუნეობით ელოდონ საუკეთესო ცხოვრებას. ამიტომ ამ ქვეყნებისათვის ამჟამად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მათი ეკონომიური და კულტურული განვითარების ტემპისა და გზების საკითხებს.

შეიძლება თუ არა ამ გიგანტური ამოცანების გადაწყვეტა მოკლე ისტორიულ ვადაში? სოციალისტური ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ ეს რეალური საქმეა.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი საჭირო დახმარებას უწევს აზიისა და აფრიკის ხალხებს მათი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის გადალახვაში.

საბჭოთა კავშირი თანამშრომლობს ინდოეთთან, ინდონეზიასთან, ბირმასთან, ავღანეთთან, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან, ერაყთან და მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან მათი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე ინდუსტრიული ბაზის, როგორც მათი ეკონომიური დამოუკიდებლობის საფუძვლის შექმნაში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ემყარება ქვეყნების სუვერენიტეტისა და ღირსების პატივისცემის, მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს და უანგარო ხასიათისაა.

ბუნებრივია, რომ რევოლუციური შემობრუნება აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში ძირეულად ცვლის აღმოსავლეთმცოდნეობის ხასიათსა და შინაარსს. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მისი ახალი, პრინციპული თავისებურება ის არის, რომ ახლა აღმოსავლეთის ხალხები როგორც არასოდეს წინათ თვითონვე ქმნიან საკუთარ მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის მათს ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას და, ამრიგად, მეცნიერების ობიექტიდან, როგორიც ისინი უახლოეს წარსულში იყვნენ, აღმოსავლეთის ხალხები მეცნიერების შემოქმედებად გადაიქცნენ, წარმოიშვა აღმოსავლეთმცოდნეობის ახალი ცენტრები თვით აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ ქვეყნების მეცნიერები სწავლობენ არა მარტო თავიანთ ხალხთა წარსულს, არამედ აქტიურად მონაწილეობენ იმ პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც მათი ცხოვრების ისტორიული შემობრუნების შედეგად წარმოიშვნენ.

ამ დარბაზში ჩვენ ვხედავთ აზიისა და აფრიკის მეცნიერებს. ჩვენ გვახარებს ის, რომ ამ კონტინენტების ახალგაზრდა, — თუ ვიანგარიშებთ მათი დამოუკიდებელი არსებობის წლებს, — და ძველი, — თუ ანგარიშს დავიწყებთ მათი კულტურის წარმოქმნიდან, — ქვეყნები ასე სწრაფად და ნაყოფიერად ქმნიან საკუთარ მეცნიერულ კადრებს. შემთხვევითი არაა, რომ ამიტომ აღმოსავლეთის ქვეყნები მნიშვნელოვნად უფრო ფართოდ, ვიდრე წინათ, წარმოდგენილი არიან ახლანდელ კონგრესზე. ეს, როგორც მე მიმაჩნია, ძირეულად განასხვავებს ამ კონგრესს ყველა წინანდელი კონგრესისაგან.

ნება მიბოძეთ მთელი სულითა და გულით მივესალმო აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს — ამ კონგრესის მონაწილეებს. **(ტაში).**

მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნეთა ვალია თავიანთ შრომებში ობიექტურად ასახონ ის დიდმნიშვნელოვანი პროცესები, რაც წარსულში მოხდა და განსაკუთრებით ახლა ხდება აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, ხელი შეუწყონ და შემოქმედებითად დაამუშაონ ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, თავიანთი ეკონომიური ჩამორჩენილობის გადალახვისათვის აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლის ძირეული პრობლემები.

სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთმცოდნეობა მხოლოდ მაშინ იქნება ფართოდ აღიარებული და მოიპოვებს წარმატებას, როცა იგი ემსახურება აღმოსავლეთის ხალხთა ინტერესებს.

იყენებენ რა ყველა იმ ძვირფასს, რაც რუსულმა ორიენტალისტიკამ მოგვცა, საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეები პრინციპულად სხვა მეცნიერულ საფუძველზე — მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან სწავლობენ არა მარტო ძველ და შუა საუკუნეთა ისტორიას და ფილოლოგიას, არამედ მთავარ ყურადღებას აქცევენ თანამედროვეობის პრობლემებს, მათ შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემების დამუშავებას. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერ-ორიენტალისტებისათვის, ისევე როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სხვა დარგის მეცნიერთათვის, შექმნილია ნაყოფიერი მეცნიერული შემოქმედების ყველა პირობა.

აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მზარდი კავშირურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა ფართო მეცნიერული და კულტურული გაცვლა. ბევრ ამ ქვეყანასთან საბჭოთა კავშირს დადებული აქვს შეთანხმებანი კულტურული თანამშრომლობის შესახებ. აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნული კადრების მომზადების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს მოსკოვში შექმნილმა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტმა.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მეცნიერული თანამშრომლობის, აზრთა და დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე შემოქმედებითი დისკუსიების თავისუფალი გაზიარების სულისკვეთება, პრობლემებისა, რომელთაც აღმოსავლეთმცოდნეების წინაშე მბრძანებლურად აყენებს თვით ცხოვრება მთელი თავისი სირთულითა და სიმწვავით, ხელს შეუწყობს ამ კონგრესის ნაყოფიერ მუშაობასა და დადებით შედეგებს.

რასაკვირველია, მეცნიერული პრობლემების განხილვის დროს წარმოიშობა აზრთა დაპირისპირება და მეცნიერული დავა. ჩვენ პრინციპული უთანხმოების მიჩქმალვის მომხრენი როდი ვართ. ჩვენ მზადა ვართ მონაწილეობა მივიღოთ მეცნიერულ დავაში, და ეს სავსებით კანონზომიერია, რადგანაც, როგორც ცნობილია, დავის დროს წარმოიშობა ჭეშმარიტება.

ნება მიბოძეთ რწმენა გამოვთქვა, რომ ეს კონგრესი ხელს შეუწყობს მეგობრული კონტაქტების დამყარებას სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა შორის, ხელს შეუწყობს მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

ნება მიბოძეთ ვუსურვო კონგრესს წარმატებით და ნაყოფიერად მუშაობა. **(ტაში).**

* * *

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელით კონგრესს მიესალმა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი კ. ვ. ოსტროვიტიანოვი, რომელიც შეეხო აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების ზოგიერთ პრინციპულ საკითხს.

— რუსი და აღმოსავლეთის ხალხთა ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობა, — თქვა მან, — ისტორიის შორეულ წარსულში მიდის. აღმოსავლეთის კვლევის მუშაობის გაჩაღებას რუსეთში ბევრად შეუწყო ხელი რუსულმა გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებამ, აგრეთვე შუა და აღმოსავლეთ აზიის შესწავლის რუსეთის კომიტეტმა. ორატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეობას ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით ფართო ასპარეზი დაეთმო განვითარებისათვის და იგი უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იგი ძველი და შუასაუკუნეების ისტორიასა და ფილოლოგიასთან ერთად შეისწავლის აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიური განვითარების საკითხებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებს.

აკადემიკოსი ოსტროვიტიანოვი შემდეგ აღნიშნავს, რომ საბჭოთა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებმა აღზარდეს მეცნიერ მუშაკთა ეროვნული კადრები, რომლებიც რუს მეცნიერებთან თანამეგობრობით სწავლობენ თავიანთ ხალხთა ისტორიას, მატერიალურ და სულიერ კულტურას. საბჭოთა აღმოსავლეთის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შექმნილია მეცნიერებათა აკადემიები. საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების მეცნიერ მუშაკთა და მოსკოვისა და ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეთა ძალებით შექმნილია მონოგრაფიული გამოკვლევები და შემაჯამებელი შრომები აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი, ყაზახი, უზბეკი, ტაჯიკი და სხვა ხალხთა ისტორიის დარგში.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ერთ-ერთ თავის ცენტრალურ ამოცანად ისახავს ყოველმხრივ დაეხმაროს და ხელი შეუწყოს აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების საქმეს.

კონგრესს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელით მიესალმა ა. კუნსტი, რომელმაც აღნიშნა საერთაშორისო თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობა პროგრესისათვის, მშვიდობისათვის.

შემდეგ მოსმენილ იქნა ბ. გ. გაფუროვის სიტყვა.

— მე წილად მხვდა დიდი პატივი, — თქვა მან, — გავხსნა აღმოსავლეთმცოდნეთა მორიგი XXV საერთაშორისო კონგრესი და საბჭოთა მეცნიერების სახელით მივესალმო კონგრესის წევრებსა და სტუმრებს, რომლებიც ჩვენთან ჩამოვიდნენ მსოფლიოს სამოცზე მეტი ქვეყნიდან. ეს კონგრესი ჩვეულებისამებრ სამი წლის შემდეგ შეიკრიბა. კონგრესი ესტაფეტას იღებს თავისი წინამორბედისაგან — XXIV კონგრესისაგან, რომელიც მიუნჰენში გაიმართა.

ჩვენი კონგრესი, ხაზგასმით აღნიშნა ბ. გ. გაფუროვმა, მიმდინარეობს აღმაფრთოვანებელ დღეებში, როცა აზიისა და აფრიკის ხალხები ახალ წარმატებებს აღწევენ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ ამას წინათ, განაგრძო ორატორმა, ორიენტალისტიკა თანამედროვეობისაგან შორეულ და წმინდა აკადემიურ მეცნიერებად მიაჩნდათ. ახლა ჩვენ, აღმოსავლეთმცოდნეები თანამედროვე მოვლენათა სიღრმეში აღმოვჩნდით. სწორედ ეს არის ამ კონგრესის ერთერთი განმასხვავებელი თავისებურება. მისი მეორე თავისებურება ის არის, რომ ჯერ კიდევ არასოდეს საერთაშორისო ფორუმზე არ შეკრებილა თვითონ აღმოსავლეთის ქვეყნების იმდენი წარმომადგენელი, რამდენიც ამ დარბაზში შეიკრიბა.

ამხ. გაფუროვი აღნიშნავს, რომ XXIV კონგრესის შემდგომ განვლილ წლებში მსოფლიო ორიენტალისტიკა გამდიდრდა მრავალი, განსაკუთრებით ძვირფასი გამოკვლევით, რომელთაც წინ წასწიეს მეცნიერება. ამ გამოკვლევებს, კერძოდ, მიეკუთვნება მკვდარი ზღვის ხელნაწერთა გამოკვლევა. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ნაშრომთა კრებული სხვადასხვა ქვეყნის აღმოსავლეთმცოდნეთა თანამეგობრობის კარგი მაგალითია.

თავისი სიტყვის დასასრულს ბ. გ. გაფუროვმა თქვა:

— ამ დარბაზში გვესწრებიან სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის, რასის, ეროვნების, სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების ადამიანები. ჩვენ შორის შეიძლება წამოიჭრას დავა და აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ შემოქმედებით დისკუსიას შეუძლია უდიდესი სარგებლობა მოუტანოს მეცნიერებს. ყველა ჩვენგანს აერთიანებს მეცნიერების სიყვარული, ჩვენი საქმისადმი ღრმა ინტერესი, ახალ აღმოჩენათა წყურვილი.

მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორატის სახელით შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა პროფესორმა მ. მ. სოკოლოვმა.

ამით კონგრესის პლენარული სხდომა დამთავრდა.

კონგრესის მონაწილეებმა სექციების სხდომათა დაწყებამდე შესვენება გამოიყენეს უნივერსიტეტის საქტო დარბაზის ფოიეში მოწყობილი გამოფენის გასაცნობად. მეცნიერებთან ერთად გამოფენა ყურადღებით დაათვალიერა ა. ი. მიქოიანმა. გამოფენა, რომელიც ასახავს ამიერკავკასიისა და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიულ წარსულსა და აწმყოს, აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესის აღსანიშნავად მოაწყვეს ამ რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებმა.

კონგრესი 16 აგვისტომდე გაგრძელდება. (საქდესი).

სურათზე: აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა ჯგუფი კუტუზოვის პროსპექტზე. მარცხნიდან მარჯვნივ — ჯაკარტის უნივერსიტეტის პროფესორი **სლამეტმულიანა**, ოსაკის (იაპონია) უნივერსიტეტის პროფესორი **კენტარო ხირაოკა**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ს. მ. **ჟღენტი**, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი **ლიგეტი ლაიოში** და კამერუნის წარმომადგენელი **ოსენდე აფანა**.

ფოტო ვ. კოშევოისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

წერილები რედაქციის ფოსტიდან

აი, რაზედ სტკივათ გული

◆ **ქუთაისში** არც ერთ მაღაზიაში არ იშოვება საზაფხულო ქუდები, ხოლო, როგორც წესი, ზაფხული ქუთაისშიც მცხუნვარე იცის.

თ. ფორჩხიძე,
გ. ჯანელიძე.

◆ **სოფელ ბოლაჯურში** (ადიგენის რაიონი) რადიოკვანძია, მაგრამ მისი გამოყენების საშუალება მოსახლეობას არა აქვს. ერთი წლის წინათ წაიქცა ბოძები, დაწყდა მავთულები. ამაზე ხშირად შეგვიხსენებია ადგილობრივი ორგანოებისათვის, მაგრამ ამაოდ.

ზ. მიშველიძე.

◆ **ცაგერის** რაიონში ნასპერი საკმაოდ დიდი სოფელია. აქ შრომისმოყვარე ადამიანები არიან, მაგრამ მათ კულტურული მომსახურება არ ეწევათ. მიუხედავად იმისა, რომ კლუბიცა გვაქვს და საკუთარი კინოდანადგარიც, მთელი წლის მანძილზე მოსახლეობისათვის ერთი კინოფილმიც არ უჩვენებიათ.

გ. ფრუიძე, მ. ირემაძე,
პ. ახვლედიანი, ზ. ირემაძე.

◆ **წალენჯიხის** რაიონის სოფელ ნაკიფუში არ იქნა და ვერ მოგვარდა რადიოს საქმე. გამოგვიცხადეს და ყველა ოჯახმა მოვამზადეთ ყველაფერი რადიოხაზისათვის, ჩავრიცხეთ სათანადო თანხა, რადიო კიდევაც ალაპარაკდა, მაგრამ შემდეგ დაზიანდა და უკვე ორი წელია დუმს.

შ. კვარაცხელია.

◆ **წევა** ერთ-ერთი მთაგორიანი სოფელია ზესტაფონის რაიონში. იგი მდიდარია წყლებით, ჰაერით, წიაღისეულით. მაგრამ მისი კეთილმოწყობისათვის ნაკლებად ზრუნავენ. სოფელს არა აქვს სამანქანო გზა, არ არის ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებული.

რ. გაჩეჩილაძე.

გალერეა-მუზეუმი სოფლად

ბობოყვათში წესად იქცა: ყოველი წელი რაღაც ახლით, შინაარსიანით, საინტერესოთი უნდა აღინიშნოს. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ქობულეთის რაიონის ამ ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ, მრავალდარგოვან და მოწინავე საკოლმეურნეო სოფელში უმაგალითო გაქანება მიეცა საზოგადოებრივ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობას. აიგო ელექტროწისქვილი, აბანო, სასურსათო საქონლისა და გაზიანი წყლის სავაჭრო ფარდულები, სამჭედლო, ოთხი ავტომოსაცდელი სასოფლო გზებზე, სასპორტო დარბაზი და მოედანი. სოფლის ცენტრში აღიმართა ვ. ი. ლენინის ძეგლი და სკულპტურული კომპოზიცია აჭარული ცეკვის — ხორუმის გამოსახულებითა და შადრევნით, აგრეთვე კაპიტალური სტენდი მოწინავე ადამიანთა სურათებით და საგაზეთო ვიტრინები.

ბობოყვათს აქვს რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო კულტურის სახლი, მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა, სატელეფონო სადგური, საფოსტო განყოფილება, რადიოკვანძი, ოცდახუთსაწოლიანი საავადმყოფო, სადაც ახლახან მოეწყო რენტგენოკაბინეტი და სამშობიარო განყოფილება. სოფლის მშვენებაა ძვირფასი სუბტროპიკების ტანაყრილ ხეივნებში ლამაზად ჩამწკრივებული კოლმეურნეთა საუკეთესო ოდა-სახლები, სადაც შებინდდება თუ არა, თვალისმომჭრელად აციმციმდებიან ელნათურები, ახმიანდებიან რადიორეპროდუქტორები.

ამას წინათ ბობოყვათელებმა ახალი საუცხოო საჩუქრები მიიღეს — სასოფლო კულტურის სახლის ვრცელ და ნათელ ფოიეში საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების ინიციატივით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი საკოლმეურნეო გალერეა-მუზეუმი. აქ საინტერესოდ არის წარმოდგენილი მხატვრების ტ. ჭანტურიას, ნ. ნოვიცკაიას, ა. ფილიპოვის, გ. მეგრელიძის, შ. ხოლუაშვილის რჩეული ნაწარმოებები — ნატურ-მორტები, დეკორაციული ესკიზები, გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტ-ნახატები, ბარელიეფები, ბიუსტები და სხვ. ხოლო ეზოში დაიდგა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა გამოჩენილი მოღვაწეების მიჩურინისა და ტ. ლისენკოს ბიუსტები.

ჯ. მახარაძე,
სოფლკორი.

რატომ ვართ სიბნელეში?

ნოსირი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია ცხაკაიას რაიონში და ტერიტორიულადაც ყველაზე ახლოა (3 კილომეტრზე) რაიონულ ცენტრთან. სოფელში გვაქვს ორი მსხვილი კოლმეურნეობა, ციტრუსების სახელმწიფო სანერგე, აგურკრამიტის ქარხანა, წყალსადენი, საშუალო სკოლა და სხვ.

1954 წელს სოფელი გაანათა ელნათურებმა, მაგრამ ჩვენი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. გაჩირაღდნებული სოფელი ისევ სიბნელემ მოიცვა. დაიწყო საყვედურები სხვადასხვა მისამართით, მაგრამ ამაოდ.

სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ააგო ელექტროქვესადგური, რომელიც ენერგიას იღებდა საქმთავარსოფლენერგოს ცხაკაიას განყოფილებიდან. ამ ბაზაზე სოფელი ელექტროფიცირებულ იქნა. მალე გამოირკვა, რომ სხვა ნაკლთან ერთად ელქვესადგურს არ ჰყოფნიდა ენერგია. დაიწყო ხაზის სისტემატურად გამორთვა, დღისით დენი სრულებით არა გვაქვს, ღამით კი უმეტეს შემთხვევაში.

ჩვენ ახლა უფრო შეძლებულები ვართ, შევიძინეთ რადიომიმღებები და სხვ. ნათელი და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობა გვაქვს, მაგრამ რატომღაც ვერ ვეღირსეთ ელექტრობას.

ი. ხუნწარია, პ. ყანჩაველი, ი. ფრელაშვილი.
რ. სახოკია.

განა ამის მოწყობა ძნელია?

ყვარლის რაიონის მშრომელები საშენი მასალების ნაკლებობას განვიცდით. ხშირ შემთხვევაში კირი შემოგვაქვს წითელწყაროს რაიონიდან, აგური — გურჯაანიდან, ხე-ტყე — მუკუზნიდან. ზოგი რამ ჩვენს რაიონშიც მოიპოვება. საშენი მასალის შემოზიდვისათვის საჭიროა ტრანსპორტი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მას აქ ვერ ვშოულობთ. მიმდინარე წლიდან სხვადასხვა დაწესებულებებისა და საწარმოების ავტომანქანები გადაეცა ყვარლის ავტოსატრანსპორტო კანტორას, კანტორა კი ავტომანქანებს კერძო პირებზე არ აქირავებს.

კანტორებში უნდა გამოიყოს რამდენიმე ავტომანქანა მშრომელთა მომსახურებისათვის, მით უმეტეს, რომ არის შემთხვევები, როცა დაწესებულებებს ზოგჯერ ტრანსპორტი არ სჭირდებათ და მანქანები უმოძრაოდ დგას გარაჟში.

ა. ხუხიაშვილი,
ს. კუპრაშვილი.

წერილი არ დაგვეჭდილა, მაგრამ...

— **სოფელ** წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის სავაჭრო წერტში გაფლანგულია დიდი თანხა, კოლმეურნეობის გამგეობა კი ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს, — სწერდნენ რედაქციას მაიაკოვსკის რაიონიდან. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომს. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ო. ერისთავი რედაქციას ატყობინებს:

კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

კოლმეურნეობის ღვინის სავაჭრო წერტის გამგეს ვ. გუმბერიძეს 17.490 მანეთი დანაკლისი აღმოაჩნდა. კოლმეურნეობის გამგეობამ ვ. გუმბერიძის საქმე აღნიშნული დანაკლისის გამო რაიონის პროკურატურას გადასცა ზომების მისაღებად.

ამასთან გაცნობებთ, რომ სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის სპეციალისტების საშუალებით მოვაწყეთ სოფელ წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის შემოწმება და შედეგები 1960 წლის 29 ივნისს განვიხილეთ რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე, დავსახეთ ღონისძიებანი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. გრძელიძეს და ბუხჰალტერ პ. კიკნაველიძეს მკაცრი გაფრთხილება მიეცათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისათვის და აღრიცხვის არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობისათვის.

გველირსება თუ არა?

ქალაქი დუშეთი გაიზარდა, დამშვენდა. მოსახლეობას ცხოვრების უკეთესი პირობები აქვს. აშენდა აბანო, სასტუმრო, საკონსერვო ქარხანა, სადაც ბევრი დუშელი ახალგაზრდა მუშაობს. ქარხნის აბანოს და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოთა ნორმალური მუშაობისათვის დიდი რაოდენობით საჭიროა წყალი, ხოლო წყლის მთელი რაოდენობა, რასაც ამჟამად ქალაქი იღებს, მარტო აბანოს და ქარხანას სჭირდება.

ქალაქის მოსახლეობამ თავიანთ ეზოებში საკუთარი თანხებით მოაწყეს წყალგაყვანილობა, იმედი ჰქონდათ, რომ წყლით უზრუნველყოფილი იქნებოდნენ, მაგრამ თვეში ერთხელ თუ დაინახავენ ონკანიდან წყლის წვეთებს. ამიტომ მოსახლეობას ნახევარი კილომეტრიდან და უფრო დიდი მანძილიდან უხდებათ სასმელი წყლის ზიდვა, მალე ქარხანა უფრო დიდი რაოდენობით დაიწყებს პროდუქციის გამოშვებას, ამისათვის მეტი წყალი იქნება საჭირო და მაშინ ქალაქის მცხოვრებლებს ონკანიდან წყლის წვეთებიც სანატრელი გაუხდებათ.

მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფისათვის დუშეთში არავინ ზრუნავს.

ვ. ბიძინაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მშენებლები არ ჩქარობენ“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა წყალტუბოს რაიონში სასკოლო მშენებლობის ნაკლოვანებებს. ამ წერილთან დაკავშირებით პარტიის წყალტუბოს რაიკომის მდივანი ამხ. გ. გაგოშიძე გვატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტის“ 1960 წლის 27 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „მშენებლები არ ჩქარობენ“ მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ბროწეულას სკოლა-ინტერნატის, გეგუთისა და ოფურჩხეთის საშუალო და გუბისწყლის შვიდწლიან სკოლების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს შეეხებოდა სინამდვილეს შეეფერება.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ მიმდინარე წლის 22 ივლისს განიხილა 1960-1961 სასწავლო წლისათვის რაიონის სკოლების მზადების საკითხი. ბიურომ მკაცრად გააკრიტიკა ქალაქის საბჭოს, კურორტსამმართველოს სამშენებლო კანტორისა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს ხელმძღვანელობა ბროწეულას სკოლა-ინტერნატის, გეგუთისა და ოფურჩხეთის საშუალო და გუბისწყლის შვიდწლიანი სკოლების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების გაჭიანურებისათვის, მისცა მათ კონკრეტული მითითებანი ყველა სახის სამუშაოების დაწესებულ ვადებში დამთავრებისათვის.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, გაძლიერდა სამუშაოთა მიმდინარეობის ტემპები.

ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ აღნიშნულ სკოლა-ინტერნატსა და სკოლებში დროულად დამთავრდეს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები და ახალი სასწავლო წლიდან ნორმალურად წარიმართოს მეცადინეობა.

რძის საშუალო წველადობა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში

1960 წლის 1 აგვისტოსათვის

(კილოგრამობით)

	1960 წელი	1959 წელი	+ მატება — კლება
სულ რესპუბლიკაში	886	813	+ 73
აქედან —			
ბათუმის	1.720	1.612	+108
ქობულეთის	1.340	1.255	+ 85
თეთრიწყაროს	1.335	1.057	+278
წალკის	1.283	1.259	+ 24
დმანისის	1.269	1.268	+ 1
ბოგდანოვკის	1.259	1.283	— 24
წითელწყაროს	1.210	1.084	+126
საგარეჯოს	1.195	1.083	+112
ახალქალაქის	1.193	1.169	+ 24
მახარაძის	1.192	1.051	+141
გურჯაანის	1.086	1.073	+ 13
ასპინძის	1.085	1.080	+ 5
ბოლნისის	1.074	1.024	+ 50
ტყიბულის	1.032	957	+ 75
ლაგოდეხის	995	925	+ 70
წყალტუბოს	969	668	+301
სამგორის	966	932	+ 34
ხაშურის	963	717	+246
ორჯონიკიძის	950	736	+214
თერჯოლის	946	797	+149
ქარელის	937	804	+133
მცხეთის	933	948	— 15
სიღნაღის	913	888	+ 25
ადიგენის	908	783	+125
ახალციხის	900	811	+ 89
ზესტაფონის	896	727	[illegible]
საჩხერის	883	790	[illegible]
ბორჯომის	868	802	[illegible]
გორის	861	802	[illegible]
სტალინირის	860	818	+ 42
მარნეულის	856	847	+ 9
თელავის	855	782	+ 73
თიანეთის	833	710	+123
გეგეჭკორის	820	501	+319
დუშეთის	813	742	+ 71
ზნაურის	807	803	+ 4
ახმეტის	806	759	+ 47
გაგრის	782	709	+ 73
კასპის	774	694	+ 80
ხულოს	737	532	+205
ლანჩხუთის	731	594	+137
ყვარელის	726	664	+ 62
აბაშის	715	711	+ 4
სამტრედიის	710	690	+ 20
ზუგდიდის	702	672	+ 30
ონის	696	679	+ 17
ამბროლაურის	695	669	+ 26
ვანის	678	505	+173
ლენინგორის	669	641	+ 28
ჩოხატაურის	660	614	+ 46
მესტიის	658	645	+ 13
ქედის	655	533	+122
ყაზბეგის	648	654	— 6
წალენჯიხის	633	518	[illegible]
ჭიათურის	621	548	[illegible]
ცხაკაიას	620	613	[illegible]
ჩხოროწყუს	620	457	[illegible]
ჯავის	610	771	[illegible]
წულუკიძის	609	[illegible]	[illegible]
შუახევის	[illegible]	[illegible]	[illegible]
ცაგერის	[illegible]	[illegible]	[illegible]
მაიაკოვსკის	[illegible]	[illegible]	[illegible]
ხობის	[illegible]	[illegible]	[illegible]
სოხუმ	[illegible]	[illegible]	[illegible]
გა	[illegible]	[illegible]	[illegible]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან
ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.



მოსწავლეთათვის — სიმღერები კინო- [illegible] ილოდეს, 19.55 — კინონარ- აფხაზეთის „რაიმონდადან“ (მიძღვნ- [illegible] — ახალი ამბ-

კუბა აღუდგება ვაშინგტონის ხიშტებს

ჰავანა, 8 აგვისტო. (საკდესი). კუბის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ლათინური ამერიკის ისტორიაში, განაცხადა კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ გუშინ თავის გამოსვლაში ზეიმზე, რომელიც მიეძღვნა ლათინური ამერიკის ახალგაზრდობის პირველი კონგრესის დახურვას. კუბის რევოლუციას, თქვა მან, შეიძლება ეწოდოს ამერიკის მეორე განმათავისუფლებელი რევოლუცია. პირველი რევოლუცია მიმართული იყო ესპანეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ, ხოლო ეს — მეორე და უკანასკნელი — რევოლუცია მიმართულია იანკის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ.

სტადიონზე, სადაც პრემიერ-მინისტრი გამოვიდა, შეიკრიბა ათიათასობით კუბელი მშრომელი ლათინური ამერიკის ახალგაზრდობის პირველი კონგრესის დელეგატებთან და სტუმრებთან ერთად.

ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ წამსული რევოლუციები მუდამ განიცდიდნენ დევნას. რევოლუციას გზას უღობავდა არა მარტო მონოპოლისტური კონტროლი იარაღსა და ძალაზე, არამედ აგრეთვე მონოპოლისტური კონტროლი

ფიდელ კასტროს გამოსვლა

◆

ხალხთა სულიერ ცხოვრებაზე. კუბელმა ხალხმა გადალახა ყველა ეს დაბრკოლება, თქვა ფიდელ კასტრომ.

ამხილა რა ეგრეთწოდებული ამერიკული დემოკრატია, კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის დემოკრატია მხოლოდ ერთი მუჭა მილიონერებისათვის. იმპერიალისტები, თქვა მან, დემოკრატიას უწოდებენ მათ მიერ შექმნილ შიმშილის, უწიგნურობის, უმუშევრობისა და სიღატაკის სისტემას, კუბაში, აღნიშნა შემდეგ კასტრომ, ამჟამად დამყარდა დემოკრატია არა სიტყვით, არამედ საქმით.

რევოლუციური მთავრობა, განაგრძო კასტრომ, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა იმპერიალისტთა ნების წინააღმდეგ. რევოლუციამ გაიმარჯვა ხალხის მხარდაჭერის მეოხებით.

რათა თავიდან აიცილოს რევოლუციები, თქვა შემდეგ კასტრომ, იმპერიალიზმს ჰყავს დაქირავებულთა არმიები, მარიონეტული მთავრობები, მოსყიდული პრესა. რევოლუციების წინააღმდეგ საბრძოლველად იმპერიალიზმს ჰყავს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია და მოსყიდული საგარეო საქმეთა სამინისტროები. იგი იყენებს მონროს დოქტრინას, რათა თავის პროტექტორატებად გადააქციოს ლათინური ამერიკის ქვეყნები.

შეეხო რა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მომავალ თათბირს, კასტრომ თქვა: დაე ნუ ფიქრობენ, რომ კუბა უკან დაიხევს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში. კუბის რევოლუცია არსებობს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ნებადაურთველად. და, თუ კუბის რევოლუცია რეალობაა, თუმცა არა აქვს ამისათვის არც ვაშინგტონის, არც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ნებართვა, იგი დარჩება რეალობა ვაშინგტონისა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სურვილის წინააღმდეგ. და კუბის რევოლუცია იცოცხლებს იმიტომ, რომ კუბის შვილები მზად არიან მოკვდნენ თავიანთი სამშობლოს სიცოცხლისათვის. კუბის რევოლუცია იცოცხლებს, რადგან მის მხარეზეა ამერიკის, მსოფლიოს ყველა ექსპლოატირებული ხალხისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული ყველა ხალხის მუშათა, გლეხთა, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის სოლიდარობა, თქვა კასტრომ.

კოლონიური ჩაგვრისაგან, ექსპლოატაციისაგან ხალხთა განთავისუფლება, ხაზგასმით აღნიშნა კასტრომ, — რეალური სინამდვილეა.

კუბა, განაგრძო პრემიერ-მინისტრმა, არ გრძნობს თავს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აგრესიულ ეტლზე გამობმულად რაიმე ვალდებულებებით. მას არ მიაჩნია თავი ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებულად რაიმე სამხედრო პაქტით. ამ ისტორიულ მომენტში კუბა შეძლებს წინააღუდგეს ვაშინგტონსა და მის ხიშტებს,

საერთაშორისო ცხოვრება

ფაქტები, ცნობები, მიმოხილვა

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆

საგანგებო წესები კონგოში

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, 9 აგვისტოს კონგოს რესპუბლიკაში გამოცხადდა საგანგებო წესები.

როგორც ინფორმაციის მინისტრმა კაშამურამ განაცხადა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა კაბინეტის თათბირის შემდეგ, რომელიც მიმდინარეობდა პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას მონაწილეობით, გადაწყვეტილება კონგოში საგანგებო წესების შემოღების შესახებ მიღებულია „შესაძლო სამხედრო ინტერვენციისა და მტრული აგრესიის მოგერიების შემთხვევისათვის მოსამზადებლად“.

არჩევნების კომედია ირანში

გაზეთმა „ნიუს ქრონიკლმა“ დაბეჭდა რიჩარდ ბისტონის ცნობა ბეირუთიდან, რომელშიც მხილებულია ირანის არჩევნების ანტიდემოკრატიული ხასიათი. არჩევნებზე შეტაკების დროს ქალაქ ტაველიშში კასპიის ზღვის ნაპირზე, ნათქვამია ცნობაში, მოკლულია ოთხი კაცი. აბადანის ჩრდილოეთით ნავთობის საბადოების რაიონის ქალაქებში აგრეთვე უწესრიგობაა.

ირანელები აღშფოთებული არიან ცხოვრების სწრაფად მზარდი სიძვირით, კორუფციით და იმის ცდებით, რომ გააყალბონ არჩევნების შედეგები.

ორი პარტია ირანში — მმართველი პარტია და „ლოიალური ოპოზიცია“, — აღნიშნულია შემდეგ ცნობაში, აპირებდნენ მშვიდობიანად გაეყოთ 200-ვე ადგილი პარლამენტში. მაგრამ ხალხის განწყობილებამ გამოხატულება ჰპოვა ბევრი დამოუკიდებელი კანდიდატის გამოჩენით. ერთ-ერთი მათგანი უკვე არჩეულია.

მათ გამოწვევაზე პასუხი რომ გაეცა, პრემიერ-მინისტრი ეგბალი იძულებული გახდა დესპოტურად ჩარეულიყო არჩევნების პროცედურაში...

ზოგიერთ რაიონში, მათ შორის იეზასა და შაჰ რეიში (თეირანის გარეუბანი), არჩევნები შეაჩერეს, რათა არ დაეშვათ დამოუკიდებელთა გამარჯვება.

ერთი ქალაქის მოქალაქენი სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ უგზავნიდნენ შაჰს საპროტესტო დეპეშებს. რამდენიმე დამოუკიდებელ კანდიდატს თავს დაესხნენ და ისინი იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ თავიანთი საარჩევნო ოლქებიდან. სხვებმა განიცადეს შინაური პატიმრობა და მათ ნება არ მისცეს გამოსულიყვნენ ამომრჩეველთა წინაშე.

დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთაშორისო კონგრესი

ლონდონი, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სამართლის დამრღვევთა მიმართ მოპყრობის მეორე კონგრესი, რომელიც მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოს 55 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. ნ. სმირნოვის მეთაურობით.

კონგრესის გახსნისას ლორდმა-კანცლერმა, კილმიურმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ დამნაშავეობა ინგლისში განუხრელად მატულობს და შარშან ერთიორად და მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს. „ამ მოვლენის ყველაზე შემაშფოთებელი მხარე, — განაცხადა კილმიურმა, — არის დამნაშავეობის დიდი ზრდა ახალგაზრდობაში“.

იურისტების საერთაშორისო კონფერენცია

ბონი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჰამბურგში გაიხსნა საერთაშორისო სამართლის საერთაშორისო ასოციაციის 49-ე საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობს მსოფლიოს 37 ქვეყნის 750-მდე იურისტი.

ექვსი დღის განმავლობაში კონფერენციის მონაწილენი განიხილავენ საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა პრობლემას.

კონფერენციაზე ჩამოვიდა საბჭოთა იურისტების დელეგაცია.

ახალი კონგოს მტკიცე ნაბიჯები

პარიზი, 9 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ლეოპოლდვილიდან იუწყება, კონგოს მინისტრთა საბჭომ 8 აგვისტოს საღამოს პატრის ლუმუმბას თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაუყოვნებლივ გაასახლონ რესპუბლიკის ტერიტორიიდან ბელგიის ელჩი, აგრეთვე დაიხურონ საელჩო. გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო მთავრობამ და დაამტკიცა პარლამენტმა ბელგიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ, იწვევს აგრეთვე, რომ კონგოში დაიხუროს ბელგიის ყველა საკონსულო. გადაწყვეტილება ითვალისწინებს აგრეთვე, რომ კონგოში დაბრუნდეს ყველა კონგოელი სტუდენტი, რომელნიც ამჟამად ბელგიაში იმყოფებიან, ამასთან კონგოს მთავრობა კისრულობს ზრუნვას იმისათვის, რომ გაგზავნოს ისინი სხვა ქვეყნებში, რათა მათ შეძლონ დაამთავრონ განათლება.

მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა მოიწვიოს 25-დან 31 აგვისტომდე აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის კონფერენცია, რომელსაც, როგორც კონგოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიაჩნია, უპირველესი მნიშვნელობა ექნება აფრიკის კონტინენტისათვის.

მინისტრთა საბჭომ კვლავ დაადასტურა თავისი სრული ნდობა პრემიერ-მინისტრ პ. ლუმუმბასადმი და განუცხადა მას თავისი კმაყოფილება იმ წარმატებებთან დაკავშირებით, რომლებსაც მან მიაღწია შეერთებულ შტატებსა და აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობის დროს კონგოელი ხალხის ინტერესების დასაცავად.

პროვოკაციები კატანგაში

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც კონგოს პროვინცია კატანგის მთავარ ქალაქ ელიზაბეტვილიდან (სადაც მოიკალათა ჩომბეს მარიონეტულმა მთავრობამ) მიღებული ცნობებიდან ჩანს, რომ ბელგიის არმია აიარაღებს ადგილობრივი ტომების ბელადებს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ კატანგის „მთავრობის“ შენობასთან ბელგიის არმიამ მიიტანა შაშხანები და საომარ-მასალიანი ყუთები, რომლებიც განკუთვნილია პროვინციის ტომების ბელადებს შორის გასანაწილებლად. ფოტოკორესპონდენტებს აეკრძალათ დასწრებოდნენ იარაღით დატვირთული ავტომანქანების დაცლას. ჩომბეს მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ მიტანილი იარაღი „მხოლოდ ჩომბეს საჩუქარია ტომების ბელადებისათვის“, მაგრამ, როგორც კორესპონდენციაში აღნიშნულია, „ეტყობა, ბელადებს ესმით, რომ შაშხანები საჩუქარზე მეტია და აპირებენ გამოიყენონ ეს შაშხანები“.

საფრანგეთის პოლიციამ პარიზში ალჟირელ პატრიოტთა მორიგი მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება მოაწყო. დასავლეთგერმანული ჟურნალი „შტერნი“, საიდანაც ამოღებულია ეს ფოტოსურათი, ირონიულად შენიშნავს, რომ საფრანგეთის მმართველ წრეებს „ალჟირის დამოუკიდებლობა თავისებურად ესმით“. აი, როგორ გამოიყურება ეს დამოუკიდებლობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრთხემ ავბედითი ხასიათი მიიღო

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს 12 საათსა და 20 წუთზე ნიუ-იორკის დროით (19 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით) დაიწყო უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დ. ჰამარშელდის თხოვნით კონგოში არსებული მდგომარეობის განსახილველად.

უშიშროების საბჭოს წევრთა წინაშეა ჰამარშელდის მეორე მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება უშიშროების საბჭოს 14 და 22 ივლისის რეზოლუციები კონგოს საკითხზე.

სხდომას ესწრება ნიუ-იორკში ჩამოსული კონგოს მთავრობის დელეგაცია კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ა. გიზენგას მეთაურობით, აგრეთვე ბელგიის წარმომადგენელი.

თავის მოხსენებაში უშიშროების საბჭოსადმი დ. ჰამარშელდმა საბჭოს ყურადღება მიაქცია განსაკუთრებით სერიოზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა კონგოს რესპუბლიკაში ბელგიის ჯარების უკანონოდ ყოფნის შედეგად. გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ბელგიის ჯარები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გაყვანილი კონგოდან, ამასთან კატანგის პროვინციიდან.

თუმცა ჰამარშელდი აკრიტიკებდა ბელგიასა და კატანგის „ხელისუფლებს“ იმისათვის, რომ მათ არ შეასრულეს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება კონგოდან ბელგიის ჯარების გაყვანის შესახებ, მაგრამ, ყალბი „ობიექტურობისათვის“ იგი აკრიტიკებდა კონგოს რესპუბლიკის მთავრობასაც, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველაფერს აკეთებს, რაც კი ძალუძს, რათა დაუყოვნებლივ აღკვეთოს ბელგიის შეიარაღებული აგრესია თავისი ქვეყნის წინააღმდეგ.

ამართლებდა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის მოქმედებას, ჰამარშელდი ამტკიცებდა, რომ კატანგის „ხელისუფლებმა“ და, კერძოდ, ჩომბემ „შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შესვლისადმი ორგანიზებული სამხედრო ოპოზიციის მოულოდნელი ელემენტი. ასეთი ოპოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მხრივ მოითხოვს სამხედრო ინიციატივას, ხოლო მას, გენერალურ მდივანს, არა აქვს უფლება მიმართოს ასეთ ინიციატივას, თუ არ იქნა უშიშროების საბჭოს ოფიციალური ნებართვა, და ასეთი ნებართვის შემთხვევაშიც კი მას შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ იმ მთავრობათა კონტინგენტები, რომლებიც დაეთანხმებიან საბჭოს ასეთ ახალ პოზიციას“.

ჰამარშელდმა უკმაყოფილება გამოთქვა „მოუთმენლობის“ გამო, რასაც კონგოს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობა იჩენს, თუმცა ეს მოუთმენლობა სავსებით კანონიერი და სამართლიანია კოლონიზატორთა აგრესიის მსხვერპლის მხრივ.

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). უშიშროების საბჭოს 8 აგვისტოს დღის სხდომაზე პირველი გამოვიდა კონგოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბომბოკო. ბომბოკომ თავისი მთავრობის სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმ მდგომარეობის გამო, რომელიც კონგოში შეიქმნა ბელგიის აგრესიის შედეგად. კატანგის პრობლემა, ხაზგასმით აღნიშნა მან, ხელოვნურად შექმნა ბელგიის მთავრობამ. ჩომბეს მთავრობა იზოლირებულია ხალხისაგან და მხოლოდ ბელგიის შეიარაღებული მხარდაჭერის მეოხებით არსებობს.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე მოწვეული ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი პიერ ვინიი თვალთმაქცურად ამტკიცებდა, რომ ბელგიის ჯარების ჩარევა კონგოს საშინაო საქმეებში მოხდა „ბელგიელ მოქალაქეთა სიცოცხლის დასაცავად“. იგი ყოველნაირად ქებას ასხამდა იმპერიალისტთა აგენტს ჩომბეს და ამტკიცებდა, რომ ამ უკანასკნელს „სრული უფლება აქვს“ გამოაცხადოს პროვინციის „დამოუკიდებლობა“.

შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა თავისი გამოსვლა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის ქებით იმ „მტკიცე მოქმედებისათვის“, რომელიც მან, ლოჯის სიტყვით, განახორციელა, რათა შეესრულებინა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია კატანგის პროვინციიდან ბელგიის ჯარების გაყვანის შესახებ იმ მიზნით, რომ მათი ადგილი დაეკავებინათ გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალებს, ამავე დროს, თავისი ნათქვამის საწინააღმდეგოდ, ლოჯმა განაცხადა, რომ კონგოს უკანასკნელი ამბები და, კერძოდ, „დამოუკიდებელი“ კატანგის შექმნა კონგოელი ხალხის საშინაო საქმეა, რომელშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არა აქვს უფლება ჩაერიოს.

ტუნისის წარმომადგენელმა სლიმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბელგიის ჯარების უსწრაფესად გაყვანა კონგოდან. მან შეიტანა ტუნისისა და ცეილონის დელეგაციების ერთობლივი რეზოლუციის პროექტი. ამ პროექტის თანახმად, უშიშროების საბჭო ადასტურებს რწმუნებებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიენიჭა საბჭოს წინანდელი რეზოლუციებით კონგოს შესახებ, და წინადადებას აძლევს მას განაგრძოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება. რეზოლუციის პროექტი მოუწოდებს ბელგიის მთავრობას დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები კატანგის პროვინციიდან და აცხადებს, რომ საჭიროა ამ პროვინციაში შევიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ 14 ივლისს უშიშროების საბჭომ, განიხილა რა მდგომარეობა, რომელიც კონგოს რესპუბლიკაში შეიქმნა ამ სახელმწიფოს მიმართ ბელგიის აგრესიული მოქმედების შედეგად, მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს მოწოდებას ბელგიის მთავრობისადმი გაიყვანოს ბელგიის ჯარები კონგოს ტერიტორიიდან. ამავე გადაწყვეტილებით უშიშროების საბჭომ დაავალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი კონგოს მთავრობისათვის სამხედრო დახმარების გასაწევად მანამდე, სანამ უშიშროების ეროვნული ძალები შეძლებენ შეასრულონ თავიანთი ამოცანები, 22 ივლისს უშიშროების საბჭომ კვლავ მოითხოვა ბელგიის ჯარების უსწრაფესად გაყვანა კონგოს ტერიტორიიდან, დაავალა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიეღო ამ მიზნით საჭირო ღონისძიებანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

მაგრამ დღეს, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, უშიშროების საბჭო იძულებულია მესამედ დაუბრუნდეს ამავე საკითხს, ამასთან ისეთ პირობებში, როცა საფრთხე, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკას ემუქრება უცხოეთის ინტერვენციის შედეგად, არა თუ არ შემცირდა, არამედ, პირიქით, ამ ბოლო დროს კიდევ უფრო ავბედითი ხასიათი მიიღო. ბელგიის მთავრობა, განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა, უგულებელყოფს რა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას და სარგებლობს ნატოს აგრესიულ ბლოკში ბელგიის მოკავშირეთა მხარდაჭერით, ცდილობს ყოველ მიზეზს გარეშე შეინარჩუნოს თავისი ყოფილი კოლონია და ახორციელებს კონგოს რესპუბლიკის დანაწილების კურსს, ბელგიის ჯარებს კვლავ ოკუპირებული აქვთ კატანგის პროვინცია — კონგოს რესპუბლიკის ყველაზე მდიდარი რაიონი, იყენებენ რა ამ მიზნით თავიანთ აგენტს ჩომბეს, რომლის ერთადერთი დასაყრდენია ბელგიის ხიშტები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდლობის თვალწინ, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ბელგიის ჯარები განაგრძობენ კონგოს ტერიტორიის ოკუპაციას, უმსგავსობასა და მხეცობას სჩადიან კონგოელი ხალხის მიმართ და აძლიერებენ ცდებს ამ რესპუბლიკის დასანაწილებლად. კატანგის პროვინციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შეყვანაზე უარის თქმა, აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, წარმოადგენს აგრესორისადმი დათმობას და იმათ შეშფოთებას იწვევს, ვინც ცდილობს დაეხმაროს აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკას მის ძნელ ბრძოლაში დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობისათვის.

ვ. ვ. კუზნეცოვმა გააკრიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განცხადება, რომელშიც იგი ცდილობს მოხსნას პასუხისმგებლობა ბელგიის მთავრობას იმისათვის, რომ ბელგიის ჯარები იმყოფებიან კატანგაში და იმისათვის, რომ ამ პროვინციაში არ უშვებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს, იქმნება რამდენადმე უცნაური მდგომარეობა, აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, როცა კატანგაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შეყვანის საკითხს წყვეტს არა კონგოს ცენტრალური მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ერთად, არამედ ბელგიელი აგრესორი თავისი მარიონეტის ჩომბეს მეშვეობით.

დასასრულ სსრ კავშირის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ლუმუმბას წინადადებას გაიგზავნოს კონგოში მეთვალყურეთა ჯგუფი, რომელშიც შევა ინდოეთის, ცეილონის, განის, ეთიოპიის, მაროკოს, გვინეის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ავღანეთის, ინდონეზიისა და ბირმის თითო წარმომადგენელი. ამ მეთვალყურეთა ამოცანა იქნება უზრუნველყონ ზუსტი შესრულება უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებისა კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ბელგიის ჯარების გაყვანის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის სახელით ვ. ვ. კუზნეცოვმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბელგიის მთავრობა უხეშად არღვევს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც მოითხოვს კონგოს ტერიტორიიდან ბელგიის ჯარების სწრაფ გაყვანას და კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. რეზოლუციის საბჭოთა პროექტი ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი, ამასთან არ მოერიდოს ზემოქმედების ყოველგვარი საშუალების გამოყენებას იმ მიზნით, რომ კონგოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან ბელგიის ჯარები და აღიკვეთოს კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება. რეზოლუციის პროექტი ავალებს გენერალურ მდივანს სამი დღის ვადაში მოახსენოს უშიშროების საბჭოს, რა ღონისძიებები იქნება მიღებული უშიშროების საბჭოს ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის.

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). უშიშროების საბჭოს 8 აგვისტოს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კონგოში არსებული მდგომარეობის საკითხის განხილვა. ცეილონის, ეკვადორისა და არგენტინის დელეგატებმა მოითხოვეს ბელგიის ჯარების უსწრაფესად გაყვანა კონგოდან, ამასთან კატანგიდან, და მათი შეცვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალებით.

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭოს საღამოს სხდომაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა დაწვრილებით განმარტა საბჭოთა მთავრობის პოზიცია კონგოს მდგომარეობასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

კუზნეცოვმა კვლავ ხაზი გაუსვა, რომ კონგოში უაღრესად დაძაბული მდგომარეობის ლიკვიდაციის მთავარი საშუალებაა აფრიკის ამ რესპუბლიკის ტერიტორიიდან ბელგიის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა. მოაგონა რა დამსწრეთ საბჭოთა მთავრობის განცხადება კონგოს საკითხზე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თქვა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის გააერთიანოს თავისი ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სხვა სახელმწიფოთა ღონისძიებებთან, რათა აღკვეთოს აგრესია, ამავე დროს საბჭოთა მთავრობა შეშფოთებულია კონგოში შექმნილი საშიში მდგომარეობით და გვერდს ვერ აუვლის კონგოს მთავრობის მიმართვას სსრ კავშირის მთავრობისადმი მისთვის დახმარების გაწევის შესახებ ორმხრივ საფუძველზე.

შემდეგ კენჭი უყარეს ტუნისისა და ცეილონის დელეგაციების მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტს, ამ პროექტის თანახმად უშიშროების საბჭო ადასტურებს რწმუნებებს, რომლებიც გენერალურ მდივანს მიეცა საბჭოს წინა რეზოლუციებით კონგოს შესახებ, და მოითხოვს მისგან განაგრძოს დაკისრებული მოვალეობის შესრულება. რეზოლუციის პროექტი მოუწოდებს ბელგიის მთავრობას დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები კატანგის პროვინციიდან და აცხადებს, რომ საჭიროა ამ პროვინციაში შევიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები. ტუნის-ცეილონის რეზოლუციის პროექტი მიიღეს 9 ხმით (ტუნისი, ცეილონი, საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ინგლისი, ეკვადორი, არგენტინა, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩანკაიშელი), ორმა თავი შეიკავა (საფრანგეთი, იტალია).

ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია არ მოითხოვს კენჭი უყარონ მისი რეზოლუციის პროექტს.

გამოვიდა რა კენჭისყრის მოტივების განმარტებით, ვ. ვ. კუზნეცოვმა თქვა, რომ ტუნისისა და ცეილონის რეზოლუციის პროექტი დუმილით უვლის გვერდს იმ აშკარა ფაქტს, რომ ბელგიის მთავრობა უხეშად არღვევს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს კონგოს ტერიტორიიდან ბელგიის ჯარების გაყვანისა და ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ საბჭოთა დელეგაციამ ხმა მისცა ამ პროექტს, რადგან გაითვალისწინა, რომ იგი შეესაბამება მთავარ ამოცანას, რომელიც უნდა გადაწყვიტოს უშიშროების საბჭომ—უზრუნველყოს, რომ ბელგიამ დაუყოვნებლივ და ყოველგვარი პირობის დაუდებლად გაიყვანოს მთელი თავისი ჯარები კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან, აგრეთვე კატანგის პროვინციიდან,

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

თურქი გლეხი ღატაკი, უმეცარი

თურქულმა ჟურნალმა „ფორუმმა“ თავის ივლისის ნომერში მოათავსა ფაქირ ბაიქურთის სტატია „თურქი გლეხის უფლებები“. ეს სტატია თუმცა არასრულად, მაგრამ მაინც იძლევა ერთგვარ წარმოდგენას იმ უუფლებობასა და მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც თურქი გლეხი იმყოფება. ქვემოთ მოგვყავს ფ. ბაიქურთის სტატიის შემოკლებული თარგმანი.

დღემდე თურქეთის ყველა ხელმძღვანელი მოღვაწე გამოსულია ერთ მუჭა მდიდართა წრიდან. მათ განათლება მიიღეს და ცხოვრებაში გამოვიდნენ. ისინი თავიანთი წრიდან დეპუტატებს ირჩევენ, მინისტრებს, ელჩებს ნიშნავენ, ექიმები, ინჟინრები, არქიტექტორები, ოფიცრები ხდებიან. მეორე მხრივ, გლეხებს, რომლებიც თურქეთის უქონელი მოსახლეობის ძირითად მასას (70 პროცენტზე მეტს) შეადგენენ და რომელთა წლიური შემოსავალი ერთ ოჯახზე გაანგარიშებით 1.500-2.000 და 1.000 ლირასაც კი არ აღემატება, არ შეუძლიათ გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ხელმძღვანელ თანამდებობებზე პარტიებში, პარლამენტში, მთავრობაში, არა ჰყავთ წარმომადგენლები აგრეთვე ხელოვნებაში და სოციალური ცხოვრების სხვა დარგებში.

გლეხები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენენ. ოფიციალური მონაცემები არა გვაქვს, მაგრამ ამ გლეხების 80 პროცენტი უმიწაწყლო და მიწამცირეა. მინდვრები, საძოვრები, ნაყოფიერი ველები, ბაღები, თევზით მდიდარი ტბები — ყოველივე ეს ერთ მუჭა ადამიანთა ხელშია, რომლებიც მოსახლეობის 10 პროცენტსაც არ შეადგენენ. ასეთივე მდგომარეობაა ვაჭრობაშიც, ტრანსპორტზეც. მოსახლეობის 80-90 პროცენტი მუშაობს 10 პროცენტ შეძლებულთათვის.

იცით თუ არა, რამდენია თურქეთში, რომელსაც 767 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს, რელიგიის მსახური? უამრავი არიან. გლეხები მათ თავიანთი შემოსავლის ნახევარზე მეტს აძლევენ. დიდი და პატარა მუშაობს რელიგიის მსახურთათვის, სულ სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს მათთვის.

გარდა ამისა, ამ ადამიანების უდიდესი უმრავლესობა უმეცარია, თუმცა XX საუკუნეში ცხოვრობს, მათ არ იციან ფართობისა და წონის, სიგრძისა და მოცულობის ზომები, ვერ ერკვევიან თვეებსა და კვირის დღეებში, არ იციან არითმეტიკის ოთხი მოქმედება, ქვეყნის ნაწილები, ვერ კითხულობენ გაზეთებს, ვერ ისმენენ რადიოს. კულაკი თავის შვილებს ევროპაში ასწავლის, მემამულე მათ ამერიკაში გზავნის, დაბრუნების შემდეგ კი მეჯლისსა და მთავრობაში აწყობს. ხოლო მეჩითებში, ისევე როგორც ექვსი საუკუნის წინათ, გლეხს არწმუნებენ, მთავრობის წინააღმდეგ ამბოხება ალაჰის წინააღმდეგ ამბოხებაა. თურქეთის რადიო, ისევე როგორც რელიგიის მსახურები, ფსალმუნებს უგალობს წმიდა პრემიერებს, ლოცულობს მათთვის და ისევე როგორც მეჩითებში, მოსახლეობას არწმუნებს, მთავრობის წინააღმდეგ ამბოხება ალაჰის წინააღმდეგ ამბოხებაა.

აი რა ნიადაგზე შევქმენით ჩვენ დემოკრატია. ყველა პრობლემის გადაჭრა დამოკიდებული იყო ამ ღატაკი და უმეცარი უმრავლესობის ხმების რაოდენობაზე. სიტყვით ეს თავისუფალი ხმის მიცემა იყო, მაგრამ ეს რა თავისუფლებაა! კულაკები და მოლები აიძულებდნენ გლეხს ხმა მიეცა ისე, როგორც ეს მათთვის არის ხელსაყრელი. მაშ ნუ ვუწოდებთ ყოველივე ამას დემოკრატიას, ნუ ვიტყუებთ თავს და ნუ ვატყუებთ მთელ მსოფლიოს.

თურქი გლეხი ჯერ კიდევ მოელის მიწის რადიკალურ რეფორმას, საჭიროა ბოლო მოეღოს მიწამცირე და უმიწაწყლო გლეხების ტანჯვას. თვითეული გლეხი თავის საკუთარ მიწას უნდა ამუშავებდეს. არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ეს დარტყმა იქნება კულაკისა თუ მემამულის წინააღმდეგ. მხოლოდ ასეთი ღონისძიების შემდეგ შეიძლება მივაღწიოთ თურქეთის აყვავებას და გადავაქციოთ ის „ნამდვილ სამშობლოდ“. 1945 წლის აგრარული კანონი და მისი განთქმული მე-17 მუხლი, შესაძლოა კეთილი განზრახვით იყო მომზადებული, მაგრამ, ისევე როგორც ყველა კეთილი განზრახვა, იგი ჩახრჩობილ იქნა დემაგოგიური ფრაზების ღვარში და ვერ გავიდა მეჯლისში. მსხვილ მიწათმფლობელად ითვლებოდა ის, ვისაც 7.000-მდე დენიუმი მიწა (დენიუმი უდრის 919,3 კვადრატულ მეტრს) ჰქონდა. ამასთან ერთ კაცს შეეძლო ჰქონოდა 700-1.000 დენიუმი. კულაკების ნაწილმა საჩქაროდ გადაიტანა თავისი ნამეტი მიწა ცოლების, ცოლისდებისა და სხვ. სახელზე და ამით შეინარჩუნა მიწის უზარმაზარი ფართობები.

უნდა მოვაწესრიგოთ წარმოების საშუალებათა განაწილება. როგორც ცნობილია, მარშალის გეგმით თურქეთმა 40.000 ტრაქტორი მიიღო. პრინციპულად ეს ძალიან კარგი საქმეა. მაგრამ უმჯობესი იყო ეს ტრაქტორები არ მოეწოდებინათ, ვინაიდან ისინი ერთბაშად ჩაუვარდა ხელში მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც ბანკის კრედიტებით სარგებლობენ, თვითეული კულაკი 18-20, ზოგჯერ კი 30-40 ტრაქტორის მფლობელი გახდა, ამავე დროს ღარიბებს, თუნდაც 18-20 კაცზე თითო მანქანაც არ მისცეს, ამ მაგალითით თქვენ ნათლად ხედავთ, რომ მდიდრები კვლავ მდიდრდებიან, ღარიბები კი ღატაკდებიან. თუ წესრიგი ვერ დავამყარეთ წარმოების საიმპორტო საშუალებათა განაწილებაში, მაშინ მოდით შევწყვიტოთ ამ საშუალებათა იმპორტი და დაე ჩვენი გლეხები პრიმიტიული გუთნითა და ორთვალა ურმით დარჩნენ. ფაქტიურად დღეს სწორედ ასეთი მდგომარეობაა.

ბუმბერაზი და ქონდრის კაცი


ABRAMO LINCOLN FU NOMINATO CANDIDATO PRESIDENZIALE ALLA CONVENZIONE REPUBBLICANA DI CHICAGO NEL 1860
VICKY

„აბრაამ ლინკოლნი არჩეულ იქნა პრეზიდენტობის კანდიდატად რესპუბლიკური პარტიისაგან რესპუბლიკელთა კონგრესზე ჩიკაგოში 1860 წელს“ — ასეთი წარწერა აქვს ამ ნახატს, რომელიც ჩვენ იტალიურ გაზეთ „ჯორნოდან“ ამოვიღეთ. ასი წლის შემდეგ იმავე ქალაქში გაიმართა რესპუბლიკელთა კონგრესი. პრეზიდენტობის კანდიდატად არჩეულ იქნა „ცივი ომის“ უბადალებული რაინდი რიჩარდ ნიქსონი. ბუმბერაზი და ქონდრის კაცი — სხვას ვერაფერს იტყვი, ამ ნახატს რომ დახედავ.

კატანგის დელეგაცია

რატომ ჩავიდა ნიუ-იორკში?

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ აქ ჩამოვიდა კატანგის მარიონეტული „მთავრობის“ დელეგაცია ჟან კიბვეს მეთაურობით. დელეგაციას განზრახული აქვს იყოს კატანგის საქმის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

რათა ეჩვენებინა კატანგის „მთავრობის“ საომარი განწყობილება, კიბვემ უტიფრად განაცხადა, რომ „კატანგა არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ნებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს შევიდნენ ამ პროვინციაში... ჩვენ ვთხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუყოვნებლივ აკრძალოს რაიმე ჯარის გაგზავნა კატანგის ტერიტორიაზე“. როგორც კიბვეს სიტყვებიდან ჩანს, ბელგიის აგენტებს კატანგაში განზრახული აქვთ გაამაგრონ თავიანთი პოზიციები ამ პროვინციაში და ამ მიზნით, დაეყრდნობიან რა კოლონიზატორულ წრეებს, მოახდინონ რეფერენდუმის ინსცენირება კატანგაში,

რათა გააჭიანუროს დრო და ისარგებლოს იმით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გადასწია კატანგის გამოყოფის ლეგალიზაციის ვადა, ჩომბეს „მთავრობა“, კიბვეს სიტყვით, სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გამოაცხადოს მორატორიუმი შესაძლო საომარ მოქმედებაზე კატანგასა და კონგოს შორის. კიბვემ თქვა, რომ ეცდება, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ცნოს კატანგის სუვერენიტეტი. მან დასძინა, რომ იმედი აქვს შეხვდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს.

თავისი განცხადების დასასრულს კიბვემ აღნიშნა, რომ რამდენიმე დღეში იგი და მისი დელეგაციის წევრები გაემგზავრებიან ვაშინგტონს, სადაც მოხდება შეხვედრა „ზოგიერთ ამერიკელ თანამდებობის პირთან“, რაც მოეწყობა ლეოპოლდვილის ამერიკელი კონსულის ინიციატივით.

ჩვენი რესპუბლიკის დღე

46 ქსოვის ავტორი

...საქსოვი დაზგის ლილვს ნელა ეხვევა აბრეშუმის ხამი ქსოვილი, რომელსაც განივად დაჰყვება ოქროსფერი ზოლები. ლურჯხალათიანი ახალგაზრდა ქალი ყურადღებით ადევნებს თვალს მაქოს სწრაფ მოძრაობას. დროდადრო თავს მქსოველისაკენ გადახრის და დაზგების გამაყრუებელ ხმაურში რაღაცას ჩასძახის. აი დაზგა გამორთეს. ხელით სინჯავენ ნაქსოვის ხარისხს. კარგი გამოდისო, ამბობს მქსოველი. კმაყოფილებით სახე უღიმის ლურჯხალათიანს...

— ეს ჩვენი ნიჭიერი დესინატორი ნუნუ ცერცვაძეა, — გვაცნობენ ლურჯხალათიანს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფეიქრები.

1955 წელს დაამთავრა მან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტი და დესინატორად დაიწყო მუშაობა ფაბრიკაში. ნაყოფიერმა შრომამ მოუპოვა ფეიქარ ქალიშვილს პირველი გამარჯვება. მის მიერ შემუშავებული მამაკაცის საპერანგე ქსოვილი, რომელიც ფაბრიკამ მასობრივად გამოუშვა, პრემირებულ იქნა. პირველ წარმატებას მალე სხვაც მოჰყვა. ახლა ნუნუ ცერცვაძე 46 ახალი ქსოვილის ავტორია.

ამჟამად ფაბრიკა მასობრივად უშვებს ნ. ცერცვაძის მიერ შემუშავებულ მეტად ორიგინალურ საკაბე-საკოსტიუმე ქსოვილს. იგი საგაზაფხულო-საშემოდგომო სეზონისათვის არის განკუთვნილი. ფაბრიკამ უკვე მოქსოვა 16 ათასი მეტრი ასეთი ქსოვილი, რომელზეც მომხმარებლის დიდი მოთხოვნილებაა.

ნ. ცერცვაძის მიერ შემუშავებული აბრეშუმის ქსოვილების ნიმუშები ექსპონირებული იყო ბრიუსელის, ლაიპციგისა და ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე.

მთელი კლასი მშობლიურ კოლმეურნეობაში

საჩხერე, 9 აგვისტო. (საქინფორმი). სოფელ არგვეთის საშუალო სკოლა წელს 18 ჭაბუკმა და ქალიშვილმა დაამთავრა. ისინი შეიკრიბნენ სკოლაში, რომ გადაეწყვიტათ, თუ რას გააკეთებდნენ შემდეგში.

კურსდამთავრებულმა ჯ. გაგნიძემ სურვილი გამოთქვა დარჩეს სამუშაოდ მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში. მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი. თვრამეტივე კურსდამთავრებულმა გადაწყვიტა დარჩეს სამუშაოდ კოლმეურნეობაში. მათ სურვილი გამოთქვეს იმუშაონ ერთ ბრიგადაში.

თბილისის ახალი გეოგრაფია...

ერთი კვირის წინათ აქ ხრიოკი გორა იყო, ახლა კი მისი ნასახიც აღარ არის, გამქრალა, ირგვლივ მხოლოდ გადათხრილი, ნაყარი მიწის ვეებერთელა ზვინურებია...

დაკვრითი წესით მიმდინარეობს ავჭალის გზატკეცილის რეკონსტრუქცია. დღეობით კი არა, საათობით იზრდება სამუშაოთა ფრონტი. სულ მალე აქ ვიწრო გზატკეცილის ნაცვლად ლარივით გაჭიმული შესანიშნავი პროსპექტი ექნებათ თბილისელებს. ორივე მხარეს მოეწყობა გაზონები, გაშენდება ხეივნები...

სანიაღვრე კოლექტორების მშენებლები მიწის გულს ჩასჭიდებიან. მათ არ ჩამორჩებიან კავშირგაბმულობის მუშაკები, ისინი სატელეფონო კაბელებისათვის ამზადებენ გაყვანილობას, წარმატებით გრძელდება სამუშაოები ტრამვაის ახალი ხაზის დასამთავრებლად.

შესანიშნავად თქვა ელმავალსაშენებლო ქარხნის სახელოვანმა ადამიანმა გ. ჩადუნელმა:

—აქაურ ყოფილ უკაცრიელ მიდამოში, ნაძალადევის გარეუბანში რესპუბლიკის სიამაყე — ქართული ელმავალი დაიბადა, პროსპექტიც მალე გვექნება, მას მშვიდობის პროსპექტი უნდა ვუწოდოთ!..

... როგორც ყოველთვის, ისე გუშინაც მშენებლობაზე გმირული შრომის ცეცხლი ენთო. მძლავრად გუგუნებდნენ ექსკავატორები, ბულდოზერები. აგურის ქარხნის გვერდით ხრიოკი გორის ნარჩენები „სულს ღაფავენ"...

მზით გარუჯული ჭაბუკი გზის ტექნიკოსი ოთარ გოგიაშვილი სიგნალს იძლევა:

— ფიროუზ, ფრთხილად, უკან ხევია, ბულდოზერი არ გადაჩეხო!..

ახალგაზრდა ფიროუზ ბეკოშვილი მარჯვედ მართავს მანქანას, ბულდოზერის წინაპირი მთელი ძალით ტეხს გორაკის ქანებს...

სამუშაოთა უბნის უფროსი ინჟინერი ვალიკო კახიძე დროდადრო ამოწმებს ნამუშევრის ხარისხს.

— აბა, ბიჭებო, არ შევრცხვეთ, მეორე უბნის კოლექტივმა არ დაგვჯაბნოს! — ამბობს იგი.

— მალე აქ ღრმაღელის ნასახიც აღარ იქნება, — ამბობს ფიროუზ ბეკოშვილი.

ასეც არის: მთლიანად იცვლება თბილისის ამ გარეუბნის გეოგრაფია.

მშვიდობიანი შრომის გმირების ხვალინდელი დღე კიდევ უფრო ნათელია...

ა. გოცირიძე.

* * *

სურათზე: ავჭალის გზატკეცილის რეკონსტრუქცია. სამუშაოთა უბნის უფროსი ინჟინერი ვ. კახიძე დავალებას აძლევს ტექნიკოს რ. ფოცხვერიას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კურსი — ჰავანისაკენ

ბათუმი, 9 აგვისტო. (საქინფორმი). გუშინ ბათუმიდან კუბაში, ნავსადგურ ჰავანაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ალმით გაემართა ტანკერი „ზავტრატი", რომელმაც წაიღო 12 ათასი ტონა ნავთობნაწარმი. ეს ერთი მრავალთაგანია გემთა, რომელნიც ახლა შავი ზღვისა და შორეული კუბის ნავსადგურებს შორის დადის და იქ საბჭოთა კავშირიდან მიაქვს სხვადასხვა ნედლეული და თხევადი ნავთობნაწარმი.

რამდენიმე დღის წინათ, მაგალითად, საბჭოთა ტანკერმა „როვნომ" კუბაში ჩაიტანა ათი ათასი ტონა ბენზინი, რომელიც სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ გამოუშვა. უახლოეს დღეებში ჰავანაში 11 ათას ტონა ნავთობნაწარმს წაიღებს ტანკერი „თბილისი". გემის ეკიპაჟმა გადაწყვიტა ეს რეისი გამოაცხადოს მშვიდობისა და მეგობრობის რეისად.

ჩვენს ქვეყანას, რომელიც დახმარებას უწევს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ კუბელ ხალხს, გააქვს არა მარტო ნავთობნაწარმი, არამედ კუბიდან შემოაქვს შაქრის ლერწამი, ეხმარება რა ამით კუბას თავისი ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებაში. ამას წინათ მშრალი ტვირთის გემმა „ნეპტუნმა" კუბიდან ბათუმს ჩამოიტანა 10 ათასი ტონა შაქრის ნედლეული აგარის შაქრის კომბინატისათვის.

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში

ლანჩხუთი, 9 აგვისტო. (საქინფორმი). სადგურ ჯუმათთან ახლო არის პატარა სოფელი ჩიქვეთი. აქ მდინარე უჩანალელის მარცხენა ნაპირას ფერდობზე დგას სამოთახიანი ფიცრული ოდა. ვინ არ ყოფილა ამ სახლში — ტყიბულელი მეშახტეები, ლენტეხელი კოლმეურნეები, ქუთაისელი სტუდენტები... ყველა ისინი გულდასმით ეცნობოდნენ ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმის ექსპონატებს, რომლებიც ასახავენ მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მუზეუმს ემატება ახალი ექსპონატები. მახარაძის რაიონის მშრომელებმა მუზეუმს საჩუქრად გადასცეს მწერლის მაგიდა, რომელზეც მან დაწერა თავისი ცნობილი ნაწარმოები „ჯანყი გურიაში", საჩხერის რაიონის მშრომელებმა მუზეუმს გადასცეს ფოტოსურათების ალბომი „ძველი და ახალი საჩხერე", ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკებმა — ფაიფურის ფილაზე შესრულებული მწერლის პორტრეტი. სახლ-მუზეუმში დაცულია საქართველოს სახალხო პოეტების ი. გრიშაშვილის და გ. ლეონიძის, მწერალ შ. დადიანის და ქართული კულტურის სხვა მოღვაწეთა მიერ საჩუქრად გადმოცემული წიგნები და სხვა მასალები.

საკოლმეურნეობათაშორისო მეფუტკრეობის მეურნეობა

◆ **გურჯაანი.** (საკ. კორ.). ოცი-ოცდაათი ფუტკრის ოჯახი ყველა კოლმეურნეობას ჰყავდა. მომვლელებიც ჰყავდათ და ყარაულებიც, შაქარსაც ბევრს აჭმევდნენ, მაგრამ ფუტკარი არ მრავლდებოდა, თაფლსაც ცოტას იძლეოდა, ზარალი ზარალს ემატებოდა. კოლმეურნეობებმა გამოსავალი იპოვნეს, წევრთა საერთო კრებებზე გადაწყვიტეს და მეფუტკრეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობა ჩამოაყალიბეს.

მეურნეობას ჰყავს ფუტკრის 550 ოჯახი, წლის ბოლოსათვის კი ათასს გადააჭარბებს, ხოლო მომავალ წელს 1.500 იქნება.

მეფუტკრე სპეციალისტები ძალ-ღონეს არ იშურებენ ფუტკრის გასამრავლებლად, თაფლის მოსავლის გასადიდებლად. მეურნეობამ საფუტკრიდან პირველი რამდენიმე ტონა თაფლი მიიღო.

◆ **ლენტეხი.** (საკ. კორ.). მთიან სვანეთში მეფუტკრეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია. აქ შეიქმნა მეფუტკრეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობა, სადაც უკვე თავი მოუყარეს ფუტკრის 350 ოჯახს.

მეურნეობის მუშაკები წელს რაიონის მოსახლეობას დიდძალ მაღალხარისხოვან თაფლს მიჰყიდიან.

აქ იბადება ქალაქების გეგმები

მაგიდებზე უამრავი ნახაზებია გაშლილი, კედლებზე ცალკეული დასახლებული ადგილების ჩანახატები და ფოტოსურათებია გაკრული. არქიტექტორთა ერთი ჯგუფი გარს შემოხვევია საპროექტო ინსტიტუტის „ქალაქმშენსახპროექტის" პირველი არქიტექტურული სახელოსნოს უფროსს ა. ნიკოლაიშვილს, რომელიც განუმარტავს მათ ნახაზის თვითეულ ნაწილს.

— ქალაქ-კურორტის პერსპექტიული გეგმის შედგენისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ამ ობიექტის რელიეფის თავისებურება, რომ რაც შეიძლება სწორი ზონირება მივცეთ დაგეგმარების ადგილს, — ესაუბრება იგი თანამოსაქმეებს, — ამავე დროს უნდა ვიზრუნოთ დასახლებული ობიექტების კეთილმოწყობისათვის.

არქიტექტურული სახელოსნო წლების განმავლობაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქალაქებისა და ქალაქ-კურორტების პერსპექტიული პროექტების შესადგენად. სწორედ აქ იბადება ქალაქთა მომავალი განაშენიანების პროექტები, მათი საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო უბნების, მწვანე მასივებისა თუ ტრანსპორტის ზრდის გეგმები.

სახელოსნოს არქიტექტორებმა შექმნეს ქალაქების ბათუმის, სტალინირის, ფოთის, მცხეთის, ზესტაფონის, ახალქალაქის, ახალციხის, გურჯაანის, კასპის, ცხაკაიას, ქობულეთის, ბორჯომის და სხვა ქალაქების დაგეგმარება — რეკონსტრუქციის პროექტები.

კურორტ ბორჯომის რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს ქალაქის ზრდას სადგერის პლატოს მიმართულებით. სადგერის პლატო ძირითადად გამოყენებული იქნება საკურორტო მშენებლობისათვის. აქ აშენდება სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები. ცენტრიდან ამ ადგილთან კავშირის დამყარებისათვის პროექტით გათვალისწინებულია საჰაერო-საბაგირო გზის გაყვანა, რომლის მშენებლობა უკვე დაწყებულია, გაკეთდება აგრეთვე პლატოზე გაშენებულ კურორტებამდე მისასვლელი კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა.

ამჟამად სახელოსნოს არქიტექტორები ა. ნიკოლაიშვილი და ე. ბაგრატიონი ამუშავებენ კურორტ გაგრის პერსპექტიულ გეგმას. როგორც პროექტის ავტორები ითვალისწინებენ, ქალაქის საუკეთესო ადგილებზე — ზღვისპირა ზოლზე და ნაწილობრივ მთის ფერდობებზე უნდა გაშენდეს სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, ტურისტთა სასტუმროები.

ლ. ხუბულური.

ოლიმპიური ასპარეზობის წინ

რომი სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

როგორ მოეწყობა აქ ოლიმპიური შეხვედრები? როგორ ემზადებიან საბჭოთა სპორტსმენები და რა შანსები აქვთ ამ გრანდიოზულ შეჯიბრებაში?

ამ და სხვა მრავალ კითხვაზე პასუხი გასცა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა პრეს-კონფერენციაზე მოსკოვში სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარემ ნ. რომანოვმა.

მან განაცხადა: — XVII ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 86 ქვეყნის 7.000 სპორტსმენი, ეს ყველაზე დიდი შეჯიბრება იქნება.

მელბურნის ოლიმპიური ასპარეზობიდან სამნახევარი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა არა მარტო სხვადასხვა ქვეყნებისა და კონტინენტების რეკორდებში, არამედ მსოფლიო რეკორდების ცხრილშიც. ყოველივე ეს ცხადყოფს იმას, რომ რომში თავს მოიყრიან ოლიმპიური ასპარეზობის ისტორიაში ყველაზე უძლიერესნი.

საბჭოთა დელეგაცია მალე გაემგზავრება იტალიაში. ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში, გარდა მინდვრის ჰოკეისა. რომის საგზურს მიიღებს ჩვენი ქვეყნის 300 სპორტსმენი, აქედან 200-მდე სპორტსმენი პირველად გამოდის ოლიმპიურ ასპარეზობაში.

დაკომპლექტებულია მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები

XVII ოლიმპიური ასპარეზობის დაწყებას ორიოდი კვირა გვაშორებს. მალე იტალიის დედაქალაქში აგიზგიზდება ოლიმპიური ჩირაღდანი, გრანდიოზული შეჯიბრება.

რომი მზად ხვდება სტუმრებს — სტადიონები, სპორტული ბაზები სრულ წესრიგშია, სპორტსმენებისათვის, ტურისტებისათვის შექმნილია საუკეთესო პირობები. იტალიელი მშრომელები დიდი ინტერესით მოელიან საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებსაც შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ მთელ რიგ სახეობებში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადებას წინ უძღოდა ჩემპიონატები, შეკრებები, საერთაშორისო შეხვედრები, რომლებმაც გამოავლინა უძლიერესები, ჩემპიონები. სწორედ ამ სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდები.

საბჭოთა მოჭიდავეებს სამართლიანად თვლიან მსოფლიოში უძლიერესად, ისინი რომის ასპარეზობის საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები არიან. ჩვენმა მოჭიდავეებმა შეკრება გამოცდილ მწვრთნელთა ხელმძღვანელობით ალუშტაში გაიარეს, ხოლო შემდეგ უკანასკნელი შერჩევითი შეხვედრები პოდოლსკში მოაწყეს.

ვინ მიიღო რომის ოლიმპიური საგზური, ვინ არის შეყვანილი სსრ კავშირის ნაკრებში?

თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის ნაკრებში შევიდნენ ა. ალიევი (მახაჩკალა), ი. შახოვი (კიევი), ვ. რუბაშვილი (თბილისი), ვ. სინიავსკი (კიევი), ჰ. ბეკმურზოვი (ორჯონიკიძე), გ. სხირტლაძე (თბილისი), ა. ალბული (ლენინგრადი), ს. ძარასოვი (ორჯონიკიძე). სათადარიგო მოჭიდავეებად გუნდის შემადგენლობაში არიან ნ. მუშეგიანი და ვ. ბალავაძე. გუნდის მწვრთნელები არიან ვ. კუპცოვი და ა. იალტარიანი.

კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის ნაკრები გუნდი რომში მიემგზავრება ი. კოჩერგინის (მინსკი), ო. კარავაევის (მინსკი), კ. ვირუპაევის (ირკუტსკი), ა. ქორიძის (თბილისი), გ. გამარნიკის (კიევი), ვ. ჩუჩალოვის (მინსკი), გ. კარტოზიას (თბილისი) და ი. ბოგდანის შემადგენლობით. გუნდს სათადარიგო მოჭიდავეებად მიჰყვებიან ბ. გურევიჩი და რ. აბაშიძე, მწვრთნელებად — ა. ლენცი და ა. სენატოროვი.

სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები რომში გაემგზავრებიან 15 აგვისტოს.

ლენინის პიკის იერიში

ორი დღის მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ დაიწყო სსრ კავშირის ალპინისტთა დიდი ჯგუფების იერიში ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალზე ლენინის პიკზე.

შვიდიათასიან მწვერვალზე საიერიშოდ პირველნი გაემართნენ რსფსრ სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" ალპინისტები სპორტის ოსტატის ი. კახიანის ხელმძღვანელობით. მას მიჰყვა „სპარტაკის" ალპინისტთა კიდევ ორი დიდი ჯგუფი ვ. აბალაკოვისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ჩერედოვას ხელმძღვანელობით, აგრეთვე სასპორტო საზოგადოება „ტრუდის" ცენტრალური საბჭოს ალპინისტები.

გასულ კვირადღეს დასავლეთიდან ლენინის პიკზე იერიში დაიწყეს ყირგიზეთის ახალგაზრდა ალპინისტებმა სპორტის ოსტატის ა. რომანოვის ხელმძღვანელობით.

სულ ვ. ი. ლენინის პიკის იერიშში მონაწილეობას იღებს 150-მდე ალპინისტი, რაც შვიდიათასიანთა დაპყრობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა.

სპორტის ამბები

ბრაზილიელები ითამაშებენ თბილისში

ბრაზილიის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ბაია" არა მარტო ამ ქვეყნის ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი კოლექტივია, არამედ ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოში. ეს გუნდი წარმატებით გამოდის სხვადასხვა ტურნირსა და ჩემპიონატში, ამასთან ბრაზილიის თასის მფლობელია.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით „ბაიას" ფეხბურთელთა გუნდი საერთაშორისო მატჩების გასამართავად საბჭოთა კავშირში ჩამოვა. ბრაზილიელთა ტურნე მოეწყობა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და თბილისში. ისინი შეხვდებიან დედაქალაქის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და „სპარტაკის" გუნდებს, ლენინგრადის „ადმირალტეეცს", კიევისა და თბილისის „დინამოს".

ჭადრაკი

საერთაშორისო ოსტატის
ვ. გოგლიძის რედაქციით
ამოცანა № 12
შ. დარსაველიძე (ბათუმი)



შამათი ორ სვლაში

* * *

ამოცანა № 11-ის (ავტორი ხ. ლოიდი) გადაწყვეტა:

1. ე:g3 კ:g3 2. მf3 კ:h2 3. g4×.

თუ დაფიდან ავიღებთ მხედარს—1. hg კe3 2. ეg4 კg5 3. ეh4+ კ:h4 4. g4×.

თუ დაფიდან ავიღებთ მხედარსა და h2 პაიკს—1. ეb7 კe3 2. ეb1 კg5 3. ეh1+ კh4 4. ეh2 gh 5. g4×.

თუ დაფიდან ავიღებთ მხოლოდ ეტლს —1. მf3 კe1 2. მ:e1 მფh4 3. h3 მფh5 4. მd3 მფh4 5. მf4 h5 6. მg6×.

* * *

ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ს. ტაბუნიძემ, გ. გუნცაძემ, ს. გოზალიშვილმა, გ. ბარბაქაძემ (თბილისი), ლ. ბრეგაძემ (ტყიბული), ჯ. ონიანმ (სოფ. ჩოლური), მ. კინწურაშვილმა (ცხაკაია), ტ. ხითარიშვილმა (ქუთაისი), ნ. კვარაცხელიამ (სოფ. ჯგალი), ს. ლომაიამ (სოფ. ტალერი), ი. ხუბუნაიამ (სოფ. ახუთი), ვ. გაჯიშვილმა (სოფ. ალიბეგლო), ი. ხუროშვილმა (დაბა კახი), ჟ. მზარულავამ (სოფ. ხეთა), ჯ. სალირაშვილმა (სოფ. კარბი), ა. ხარჩილაძემ და ს. ადამოვმა (გორი), კ. გუბელაძემ (გალი), რ. ქირთბაიამ (სოფ. ოტობაია), ი. ჭოლაძემ (წყალტუბო), გ. ერთგულაშვილმა (დაბა ახმეტა), ვ. გელაშვილმა (ბორჯომი), მ. კურტანიძემ (დაბა ორჯონიკიძე), მ. აბრახაძემ (სოფ. სარგვეში), შ. ბერაძემ (სოფ. ხიდარი), ა. მაჩიტაძემ (სამტრედია), ჯ. ლეჟავამ (დიდი ჯიხაიში), ბ. წულაძემ (ნატახტარი), გ. გიორგობიანმა (სოფ. შარდომეთი).

ამინდი

12-13 აგვისტოსათვის დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 16-21, დღისით 27-32 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 22-27 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, დასავლეთის სუსტი, მტკვრის ხეობაში ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 15-20, დღისით 28-33 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 21-26 გრადუსი.

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა კოლექტივები ბრძოლას განაგრძობენ. მიმდინარეობს მეორე წრის მატჩები.

მორიგი ტურის მატჩებს ლიდერთა შემადგენლობაში ცვლილება არ მოუხდენია, პირველ ადგილზე ქვეჯგუფების მიხედვით კვლავ წინ არიან ლანჩხუთის „გურია" და ქუთაისის „იმერეთი". პირველს 17 თამაშიდან 26 ქულა აქვს, მეორეს — 15 თამაშიდან 27 ქულა.

7 აგვისტოს შეხვედრათა შედეგები ასეთია:

პირველი ქვეჯგუფი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „განთიადი" (ცხაკაია) 1:1, „ქიმიკოსი" (რუსთავი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:4, სკა (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:1, „შუქურა" (ქობულეთი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:2, „სპარტაკი" (თელავი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1; სამტრედიის „ლოკომოტივს" გათამაშების ცხრილში გამარჯვება ჩაეწერა, რადგან მოწინააღმდეგე — ქუთაისის „დინამო" პირველობისათვის მებრძოლთა რიგებიდან გავიდა.

მეორე ქვეჯგუფი — „სინათლე" (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:2, „სპარტაკი" (სტალინირი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:2, „მაღაროელი" (ჭიათურა)—„იმერეთი" (ქუთაისი) 4:4, „დინამო" (სოხუმი) — „განთიადი" (ბათუმი) 3:1, „ისანი" (თბილისი) — „სიხარული" (მახარაძე) 2:1, „ოდიში" (ზუგდიდი) — „დილა" (გორი) 0:0.

კარგი წიგნი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„საქართველოს მცენარეული საფარი"



ორმოცზე მეტი წლის წინათ, 1920 წლის ზაფხულში მთა-თუშეთის სუბალპურ მდელოებს ეწვია ახლადდაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პატარა ბოტანიკური ექსპედიცია. ამ ექსპედიციის უმცროსი წევრი — ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი ნიკო კეცხოველი იყო, ხოლო უფროსი — პროფესორი ზაქარია ყანჩაველი.

იმ ზაფხულს მრავალი სხვა მოჰყვა, სტუდენტი ბოტანიკის კათედრის ასისტენტი გახდა, შემდეგ გაიარა მეცნიერული დაოსტატების საფეხურები, უკვე თვით განაგებდა ბოტანიკის კათედრას, ხელმძღვანელობდა მრავალრიცხოვან ექსპედიციებს. ამ წლების განმავლობაში ნიკო კეცხოველს ნახავდით კავკასიონის მაღალმთიანეთში და ქართლის ვაკეზე, თრიალეთსა და მთა-ბორჩალოს სათიბსაძოვრებზე, ფშავ-ხევსურეთსა და სვანეთში, ენგურის, კოდორის, ცხენისწყლის თუ ალაზნის ხეობებში... და აი ორმოცი წლის ექსპედიციური კვლევის შედეგი — აკადემიკოს ნიკო კეცხოველის სქელტანიანი მონოგრაფია — „საქართველოს მცენარეული საფარი".

ცხადია, ეს წიგნი მხოლოდ ავტორის კვლევის საგანს არ წარმოადგენს. ისევე როგორც ამ ტიპისა და პროგრამის ყველა სხვა ნაშრომი, ეს წიგნიც ვრცელ ლიტერატურულ საფუძველზეა დამყარებული და ამ ლიტერატურული წყაროების სიმრავლე და მრავალმხრივობა თავისთავად მოწმობს არა მარტო იმ დიდ შრომას, რომელიც ავტორს აქვს გაწეული, არამედ ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად დიდი და ნაყოფიერი შრომა გაუწევიათ საქართველოს მცენარეული საფარის მკვლევარებს.

არასპეციალისტისათვის შეიძლება კიდევ უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე ბოტანიკოსისათვის — „საქართველოს მცენარეული საფარის შესწავლის ისტორია", რომელიც წამძღვარებული აქვს ნაშრომს და მოკლედ, მაგრამ ამომწურავად გვიამბობს, თუ როგორ გაიზარდა და ცალკეულ-მკვლევართა პირადი დაინტერესების საგნიდან დიდ და მრავალდარგოვან მეცნიერებად გადაიქცა საქართველოში ბოტანიკა.

საქართველოს მცენარეული საფარის ადრეული შესწავლის ისტორიის ფაქტებიდან ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ შესანიშნავმა ქართველმა მკვლევარმა ვახუშტი ბაგრატიონმა მეცნიერებაში პირველად მოგვცა კულტურულ და ველურ მცენარეთა ზონების აღწერილობა (1742 წ.). ევროპელ მეცნიერთაგან დეკანდოლმა ზონალობის შესახებ მოსაზრებანი პირველად 1820 წელს გამოთქვა, ვილდენოუმ თავისი საერთო შეხედულებანი მცენარეთა გავრცელების კანონზომიერებაზე 1792 წელს გამოთქვა, მხოლოდ ამის შემდეგ შეეხო ამ საკითხს ჰუმბოლდტი და სხვები. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამოყოფილი ზონები დღესაც არ კარგავენ მნიშვნელობას, და სათანადო ადგილას, შესაბამისი ზონების აღწერისას ავტორს ვრცლად მოჰყავს ვახუშტის აღწერილობანი, ისევე როგორც იმოწმებს უფრო ადრინდელ ისტორიულ წყაროებსაც (გიორგი მთაწმინდელს, დავით გარეჯელის ცხოვრებას და სხვ.), სადაც ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში მოგვეპოვება საქართველოს კუთხეების მცენარეული საფარის ზუსტი აღწერილობა.

ცხადია, აქ ვერ ვახსენებთ ყველა იმ შრომებს, დაწყებული კავკასიის ბოტანიკოსთა სკოლის ფუძემდებელთა — დ. სოსნოვსკის, ა. გროსჰეიმის, ნ. ტროიცკის, ნ. ბუშისა და ზ. ყანჩაველის ნაშრომებით და დამთავრებული თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის თანამშრომელთა 8-ტომიანი, კოლექტიური ფუნდამენტალური თხზულებით, რომელსაც „საქართველოს ფლორა" ეწოდება. ვერ ვახსენებთ, რადგან მათი სია მრავალი ათასი სახელწოდების წიგნსა თუ წერილს, მონოგრაფიას თუ შენიშვნას შეიცავს, მაგრამ თუნდაც თვალის ერთი გადავლება დაგვარწმუნებს, რომ ეს დარგი ბუნებისმეტყველებისა ფართოდ განვითარებულა ჩვენში.

ჩვენ წინ მდებარე წიგნი — ნიკო კეცხოველის „საქართველოს მცენარეული საფარი" იმის მაუწყებელიც არის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ამ კვლევაში წიგნის ავტორს.

წიგნში საქართველოს მცენარეულობის ყველა ტიპია განხილული. ცალკე თავები აქვს მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს ვაკისა და დაბლობის ტყეებს (მუხნარები და მუხნარ-თელნარები, ნათელი ტყე, ჭალის ტყე), რელიქტურ ტყეებს (კახეთის ლეშამბიანი ტყე, კოლხეთის რელიქტური ტყეები), მთების შუა სარტყელის ტყეებს, მაღალმთიანეთის მცენარეულობას, ქსეროფიტული ადგილსამყოფელის მცენარეულობას, წყლისა და ჭაობის მცენარეულობას... დასასრულ — საქართველოს მცენარეულობა განხილულია როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალა.

ნიკო კეცხოველის ეს წიგნი ვრცელი მეცნიერული მონოგრაფიაა, მაგრამ იგი განკუთვნილია ყველა იმათთვის, ვისაც უყვარს საქართველოს ბუნება, ვისაც საქართველოს ტყეებისა თუ ველ-მინდვრების ბედიღბალი აინტერესებს, იგი განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის. წიგნის ძირითადი პრინციპული დებულებანი — ზუსტად და ამავე დროს მხატვრულად დასაბუთებული ყველასთვის ცხადი და ნათელია.

აქ სიტყვა „მხატვრულად" — შემთხვევით არ არის ნახსენები. ნიკო კეცხოველის მეცნიერული ენა ნამდვილად მხატვრულია — მან მეცნიერულ ლიტერატურაში შემოიტანა მრავალი სიტყვა — ტერმინი და ხალხური თქმა, რომლებიც ამდიდრებენ და უფრო სახოვანსა და გასაგებს ხდიან თხრობას.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ შრომაში ისმის მეცნიერი-პატრიოტის მგზნებარე მოწოდება საქართველოს მცენარეული საფარის დაცვისა და შენახვისათვის. მეცნიერი განსაკუთრებით მძაფრად იმაღლებს ხმას საქართველოს ტყეების დეგრადაციის წინააღმდეგ: „ჩვენთვის, ქართველებისათვის, ტყეების მოსპობა ერთ-ერთი ეროვნული უბედურებათაგანია. ტყე ერის საუნჯეა, მისი მშვენება და ჯავარი, ტყეს თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ, უნდა დავიცვათ იგი, შევინახოთ, მოვუაროთ, აღვადგინოთ, დავუმატოთ, გავზარდოთ"... ყველა, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, გაიცნობს და შეიყვარებს, საქართველოს ტყეებსა და ველებს შეიყვარებს, ისე როგორც თვით ავტორს უყვარს ისინი. არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ მაგალითი იმისა, თუ როგორ პოეტურად და შთაგონებით აღწერს ავტორი, მაგალითად, სუბალპების ტყის მდელოს სურათს:

„...აქ ტყე წალკოტს უფრო წააგავს, სადაც ხეები ურთიერთისაგან ჩვეულებრივ საკმაოდაა დაცილებული. მათ შორის დარჩენილი თავისუფალი ფართობი დაფარულია ჯადოსნური მდელოთი, რომელიც ათასნაირი ყვავილით ჩვენი ქართული ხალიჩასავითაა მორთულ-მოკაზმული. აი ცისფერი, ყვითელი და თეთრი ღიღილო, ლურჯი წყალიკრეფია, სისხლივით წითელი მთის გვირილა და დეალურა, მზიურა, პატარძალივით მორთული თეთრი მაჩიტა, ფართოდ გაშლილი წართხალი, მრავალნაირი მთის შროშანა, დეზურა, სოსანი, ხბოშუბლა, ცისფერი მორცხვი კესანე, თამარდედოფლის თვალება, მთის იორდასალამი, მრავალნაირი ბაია, უზარმაზარი კულმუხო, დუცი, დიყი და ვინ იცის კიდევ რამდენი და რა ნაირფერი ეჯიბრება ურთიერთს სილამაზეში, კოპწიაობაში, სინაზეში. იშვიათი სანახავია ეს მდელო, როცა კაშკაშა მზე დაჰხარის ლაჟვარდი ციდან და ჰაერი გამჭვირვალე და მოალერსეა" (გვ. 168).

წაიკითხეთ ეს წიგნი და დაინახავთ, თუ რა მრავალფეროვანია საქართველოს მცენარეული საფარი — „მარტო საქართველოში ენდემური მცენარე ხომ 400 აღემატება, გარდა ამისა 600 ისეთი ენდემიც იზრდება, რომელნიც საერთოა კავკასიისათვის. საქართველოში 4.200-მდე უმაღლესი მცენარეა, მაშინ როდესაც მთელ კავკასიაში იგი 6.400 სახეობას არ აღემატება"...

როგორც დასკვნა და შედეგი მთელი წიგნისა დაწერილია უკანასკნელი თავი „საქართველოს მცენარეულობა, როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალა". აქ კი მკითხველი რწმუნდება, თუ რა მდიდარი და რა დიდ შესაძლებლობათა შემცველია საქართველოს მცენარეული საფარი.





ჩვენი ხალხი ყოველთვის ჰკვიანურად და მომჭირნედ იყენებდა ამ დიდ შესაძლებლობებს. აშინაურებდა გარეულ მცენარეებს, „არც ერთ ერს იმდენი ვაზის, ხორბლის, ვაშლის, მსხლის, ატმისა და სხვა ხილის ჯიში არ შეუქმნია, რამდენიც ჩვენს წინაპრებს აქვთ შექმნილი", წერს ავტორი.

წიგნი მთლიანად მომავლისკენ არის მისწრაფებული. ამას მოწმობენ ვრცელი რეკომენდაციები ამა თუ იმ ტიპის მცენარეულობის გამოყენების თაობაზე და ფიქრი მცენარეული საფარის მომავალზე.

მრავალრიცხოვანი (სამასზე მეტი ფოტოსურათი (თვით ავტორის მიერ გადაღებული) და ფერადი „საქართველოს სსრ აღდგენილი მცენარეული საფარის რუკა" კიდევ უფრო ნათელსა და გასაგებს ხდის ყოველივე იმას, რაზეც ავტორი მოგვითხრობს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ სიყვარულითა და ზრუნველობით გამოსცა ეს კარგი წიგნი.

კოტე ჯავრიშვილი.

* * *

სურათზე: სვანეთი. მოჩანს უშბა და ჩათინი. ფოტო ნ. კეცხოველისა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

11 აგვისტო

თეატრები: ფილარმონიის საზაფხულო — ნიკოლოზ შჩუკინი (ლირიკული სიმღერები) საესტრადო ანსამბლის თანხლებით.

ტელევიზია: 19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სიმღერები კინოფილმებიდან, 19.30 — ახალგაზრდობას სურს იცოდეს, 19.55 — კინონარკვევი, 20.25 — ფრაგმენტები გლაზუნოვის ბალეტ „რაიმონდადან" (მიძღვნილი კომპოზიტორის დაბადების 95 წლისთავისადმი), 20.45 — ახალი ამბები, 20.55 — ახალი მხატვრული ფილმი „ილზე".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-08, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, ხამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 04234 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.